

შპს მეამა

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება, კონსოლიდირებული მმართველობის
ანგარიშგება და დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

2022 წლის 31 დეკემბერი

შპს მეამა

შინაარსი

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა	3
ფასს-ის მიხედვით მომზადებული	
კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება:	
კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	7
კონსოლიდირებული სრული შემოსავლის ანგარიშგება	8
კონსოლიდირებული საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება	9
კონსოლიდირებული ფულადი ნაკადების ანგარიშგება	10
კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები	
1. ზოგადი ინფორმაცია	11
2. მომზადების საფუძველი.....	11
3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა	12
4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და გადაწყვეტილებები	23
5. ძირითადი საშუალებები.....	24
6. მარაგები	26
7. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები.....	26
8. ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	27
9. მიღებული სესხები.....	27
10. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	28
11. ამონაგები	28
12. რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	28
13. მიწოდების ხარჯები.....	29
14. ადმინისტრაციული ხარჯები.....	29
15. კურსთაშორის სხვაობიდან მიღებული მოგება	29
16. სხვა არასაოპერაციო შემოსავალი/(ხარჯი).....	30
17. ფინანსური რისკების მართვა.....	30
18. კაპიტალის რისკის მართვა	31
19. პირობითი ვალდებულებები.....	31
20. რეალური ღირებულების განსაზღვრა	32
21. ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან	32
მმართველობის ანგარიშგება	33

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

მეამა ჯგუფი-ს მფლობელსა და ხელმძღვანელობას:

დასკვნა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

პირობითი მოსაზრება

ჩავატარეთ შპს მეამა-ს (შემდგომში - „კომპანია“) და მისი შვილობილი კომპანიის (შემდგომში „ჯგუფი“) კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც შედგება 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებული კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებისგან, აღნიშნული თარიღით დამთავრებული წლის კონსოლიდირებული სრული შემოსავლის ანგარიშგების, კონსოლიდირებული საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებისა და კონსოლიდირებული ფულადი ნაკადების ანგარიშგებისგან, ასევე კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე დართული შენიშვნებისგან, მათ შორის, ყველა მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვისგან.

ჩვენი აზრით, თანდართული ფინანსური ანგარიშგება, - „პირობითი მოსაზრების საფუძველი“ - ნაწილში აღწერილი საკითხის გავლენით განპირობებული შესაძლო შედეგების გარდა, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, სამართლიანად ასახავს ჯგუფის ფინანსურ მდგომარეობას 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, აგრეთვე მისი საქმიანობის ფინანსურ შედეგებსა და ფულადი სახსრების მოძრაობას იმ წლისთვის, რომელიც დასრულდა მოცემული თარიღით, მცირე და საშუალო საწარმოების ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის (მსს ფასს) შესაბამისად.

პირობითი მოსაზრების საფუძველი

ჩვენ კომპანიის აუდიტორებად დავინიშნეთ 2023 წლის 5 სექტემბერს და ამდენად, 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მარაგების ფიზიკურ გადათვლას არ დავსწრებივართ. ჩვენ ვერ შევძელით 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ფლობილი მარაგების რაოდენობაში ალტერნატიული პროცედურებით დარწმუნება. შესაბამისად ჩვენ ვერ შევძელით იმის დადგენა, საჭირო იქნებოდა თუ არა 2022 წლის კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში ნაშთების ან/და ოპერაციების კორექტირება. მარაგების ნაშთი შეადგენს 7,322,006 ლარს.

აუდიტს წარვმართავდით აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ასს-ების) შესაბამისად. ამ სტანდარტებით განსაზღვრული ჩვენი პასუხისმგებლობები დეტალურად აღწერილია ჩვენი დასკვნის - „აუდიტორის პასუხისმგებლობა კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე“ -ნაწილში. ჩვენ დამოუკიდებლობები ვართ ჯგუფისგან ბუღალტერთა ეთიკის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (ბესსს) პროფესიონალი ბუღალტრების ეთიკის კოდექსისა და იმ ეთიკური ნორმების შესაბამისად, რომლებიც ეხება ჩვენ მიერ ჩატარებულ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტს საქართველოს იურისდიქციაში; გარდა ამისა, შევასრულეთ ამ ნორმებით გათვალისწინებული სხვა ეთიკური ვალდებულებებიც.

გვჯერა, რომ ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია ჩვენი პირობითი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად.

სხვა ინფორმაცია (მმართველობის ანგარიშგება) რომელიც არ არის ფინანსური ანგარიშგება

სხვა ინფორმაციაზე პასუხისმგებელია ხელმძღვანელობა. სხვა ინფორმაცია მოიცავს კონსოლიდირებული მმართველობის ანგარიშგებაში ასახულ ინფორმაციას, მაგრამ არ მოიცავს კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებას და მასზე ჩვენს აუდიტორულ დასკვნას. ჩვენი დასკვნა კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე სხვა ინფორმაციას არ მოიცავს და მასზე რაიმე სახის თვალსაზრისს არ გამოვხატავთ.

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტთან დაკავშირებით ჩვენი მოვალეობაა, გავცნოთ სხვა ინფორმაციას და, იმავდროულად, დავასკვნათ, ხომ არ არის სხვა ინფორმაცია კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების ან აუდიტის პროცესში მოპოვებულ ინფორმაციასთან არსებითად შეუსაბამო ან სხვაგვარად მნიშვნელოვნად არაზუსტი.

ამასთან დაკავშირებით, „პირობითი მოსაზრების საფუძველი“ ნაწილში აღწერილი საკითხების გარდა, ჩვენ არ აღმოგვიჩენია ისეთი საკითხი, რომლის შესახებაც აუცილებელი იქნებოდა ინფორმირება.

დასკვნა სხვა ინფორმაციაზე (მმართველობის ანგარიშგება)

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის მოთხოვნების („კანონი“) შესაბამისად მმართველობის კონსოლიდირებული ანგარიშის მომზადებაზე და ისეთი შიდა კონტროლის არსებობაზე რომელიც, მისი აზრით აუცილებელია თაღლითობისათუ შეცდომებით გამოწვეული მცდარი ინფორმაციისგან თავისუფალი მმართველობის კონსოლიდირებული ანგარიშის მოსამზადებლად.

ჩვენ ჩავატარეთ პროცედურები იმის შესამოწმებლად, არის თუ არა მმართველობის კონსოლიდირებული ანგარიში მომზადებული კანონის მოთხოვნების შესაბამისად და მოიცავს თუ არა იგი კანონით გათვალისწინებულ ინფორმაციას.

პროცედურები შევასრულეთ და ჩავატარეთ საკუთარი შეფასებების საფუძველზე მათ შორის, გამოკითხვების, დოკუმენტაციის ანალიზისა და შემოწმების, კანონის მოთხოვნებთან ჯგუფის პოლიტიკების, პროცედურების, მეთოდოლოგიებისა და ანგარიშგებული ინფორმაციის შედარებით, აგრეთვე რაოდენობრივი მონაცემებისა და სხვა ინფორმაციის გადათვლის, შედარებისა და შეჯამების საფუძველზე.

ჩვენი აზრით:

- 2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის მმართველობის კონსოლიდირებული ანგარიში მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის, ფინანსური ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის მოთხოვნების შესაბამისად;
- 2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის მმართველობის კონსოლიდირებულ ანგარიშში შესულია ბუღალტრული აღრიცხვის, ფინანსური ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონით გათვალისწინებული ინფორმაცია;
- მმართველობის კონსოლიდირებულ ანგარიშში შესული ინფორმაცია ყველა არსებითი თვალსაზრისით შეესაბამება 2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებას.

ხელმძღვანელობისა და მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირთა პასუხისმგებლობა კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია თანდართული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე ფინანსური ანგარიშგების

საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად, ასევე შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ხელმძღვანელობას ევალება, შეაფასოს ჯგუფის ფუნქციონირებადობის უნარი და აუცილებლობის შემთხვევაში, კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებში განმარტოს საკითხები, რომლებიც დაკავშირებულია საწარმოს ფუნქციონირებადობასთან და ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენებასთან, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც ხელმძღვანელობას განზრახული აქვს ჯგუფის ლიკვიდაცია ან საქმიანობის შეწყვეტა, ან თუ არა აქვს სხვა რეალური არჩევანი, ასე რომ არ მოიქცეს.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირები პასუხისმგებლები არიან ჯგუფის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენის პროცესის ზედამხედველობაზე.

აუდიტორის პასუხისმგებლობა კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

ჩვენი მიზანია, მოვიპოვოთ დასაბუთებული რწმუნება იმის თაობაზე, მოცემული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება შეიცავს თუ არა თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას და შევადგინოთ აუდიტორის დასკვნა, რომელიც მოიცავს ჩვენს მოსაზრებას. დასაბუთებული რწმუნება მაღალი დონის რწმუნებაა, მაგრამ არ არის იმის გარანტია, რომ ასს-ების შესაბამისად ჩატარებული აუდიტი ყოველთვის გამოავლენს ნებისმიერ არსებით უზუსტობას, რომელიც არსებობს. უზუსტობები შეიძლება გამოწვეული იყოს თაღლითობით ან შეცდომით და არსებითად მიიჩნევა იმ შემთხვევაში, თუ გონივრულ ფარგლებში, მოსალოდნელია, რომ ისინი, ცალ-ცალკე ან ერთობლივად, გავლენას მოახდენენ იმ მომხმარებლების ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე, რომლებიც დაეყრდნობიან მოცემულ კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებას.

ასს-ების შესაბამისად აუდიტის ჩატარება ითვალისწინებს აუდიტორის მიერ პროფესიული განსჯის გამოყენებას და პროფესიული სკეპტიციზმის შენარჩუნებას აუდიტის პროცესში. გარდა ამისა, ჩვენ:

- ვადგენთ და ვაფასებთ თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ, ფინანსური ანგარიშგების არსებითი უზუსტობის რისკებს; ვგეგმავთ და ვატარებთ ამ რისკებზე რეაგირებისთვის გამოიზრუნულ აუდიტორულ პროცედურებს და ვკრებთ ისეთ აუდიტორულ მტკიცებულებებს, რომლებიც საკმარისი და შესაფერისი იქნება ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად. რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება თაღლითობით გამოწვეული არსებითი უზუსტობა უფრო მაღალია, ვიდრე რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება შეცდომით გამოწვეული უზუსტობა, რადგან თაღლითობა შეიძლება გულისხმობდეს ფარულ შეთანხმებას, გაყალბებას, ოპერაციების განზრახ გამოტოვებას, აუდიტორისთვის წინასწარგანზრახულად არასწორი ინფორმაციის მიწოდებას ან შიდა კონტროლის იგნორირებას.
- ჩვენ შევისწავლით აუდიტისთვის შესაფერის შიდა კონტროლის საშუალებებს, რათა დავგეგმოთ კონკრეტული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოვთქვათ ჯგუფის შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე;

- ვაფასებთ ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის მიზანშეწონილობას, ხელმძღვანელობის მიერ განსაზღვრული სააღრიცხვო შეფასებების დასაბუთებულობასა და შესაბამისი ახსნა-განმარტებების მართებულობას;
- გამოგვაქვს ხელმძღვანელობის მიერ ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენების მიზანშეწონილობაზე, ხოლო მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით ვადგენთ, არსებობს თუ არა რაიმე მოვლენებთან ან პირობებთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა, რაც მნიშვნელოვან ეჭვს გამოიწვევდა ჯგუფის ფუნქციონირებადობის უნართან დაკავშირებით. თუ დავასკვნით, რომ არსებობს არსებითი განუსაზღვრელობა, გვევალება ჩვენს აუდიტორის დასკვნაში ყურადღების გამახვილება ფინანსური ანგარიშგების შესაბამის შენიშვნებზე, ან, თუ ამგვარი განმარტებითი შენიშვნები ადეკვატური არ არის - ჩვენი მოსაზრების მოდიფიცირება. ჩვენი დასკვნები ეყრდნობა აუდიტორის დასკვნის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებს. თუმცა, ამის შემდგომი მომავალი მოვლენების ან პირობების გავლენით შეიძლება ჯგუფი უკვე აღარ იყოს ფუნქციონირებადი საწარმო.
- კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების წარდგენას მთლიანობაში, მის სტრუქტურასა და შინაარსს, მათ შორის, ახსნა-განმარტებებს და ასევე, ფინანსური ანგარიშგება უზრუნველყოფს თუ არა ფინანსური ანგარიშგების საფუძვლად აღებული ოპერაციებისა და მოვლენების სამართლიან წარდგენას.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირებს, სხვასთან ერთად, ინფორმაციას ვაწვდით აუდიტის დაგეგმილი მასშტაბისა და ვადების, ასევე აუდიტის პროცესში წამოჭრილი მნიშვნელოვანი საკითხების, მათ შორის, შიდა კონტროლის სისტემაში გამოვლენილი მნიშვნელოვანი ნაკლოვანებების შესახებ.

შპს „ცერცვაძე და კომპანია“ სახელით,

როინ ლელუაშვილი რეგისტრაციის ნომერი: SARAS-A- 170985

თბილისი, საქართველო

28 დეკემბერი 2023 წელი



Handwritten signature in blue ink.

- ვაფასებთ ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის მიზანშეწონილობას, ხელმძღვანელობის მიერ განსაზღვრული სააღრიცხვო შეფასებების დასაბუთებულობასა და შესაბამისი ახსნა-განმარტებების მართებულობას;
- გამოგვაქვს ხელმძღვანელობის მიერ ანგარიშგების საფუძველად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენების მიზანშეწონილობაზე, ხოლო მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით ვადგენთ, არსებობს თუ არა რაიმე მოვლენებთან ან პირობებთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა, რაც მნიშვნელოვან ეჭვს გამოიწვევდა ჯგუფის ფუნქციონირებადობის უნართან დაკავშირებით. თუ დავასკვნით, რომ არსებობს არსებითი განუსაზღვრელობა, გვევალება ჩვენს აუდიტორის დასკვნაში ყურადღების გამახვილება ფინანსური ანგარიშგების შესაბამის შენიშვნებზე, ან, თუ ამგვარი განმარტებითი შენიშვნები ადეკვატური არ არის - ჩვენი მოსაზრების მოდიფიცირება. ჩვენი დასკვნები ეყრდნობა აუდიტორის დასკვნის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებს. თუმცა, ამის შემდგომი მომავალი მოვლენების ან პირობების გავლენით შეიძლება ჯგუფი უკვე აღარ იყოს ფუნქციონირებადი საწარმო.
- კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების წარდგენას მთლიანობაში, მის სტრუქტურასა და შინაარსს, მათ შორის, ახსნა-განმარტებებს და ასევე, ფინანსური ანგარიშგება უზრუნველყოფს თუ არა ფინანსური ანგარიშგების საფუძველად აღებული ოპერაციებისა და მოვლენების სამართლიან წარდგენას.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირებს, სხვასთან ერთად, ინფორმაციას ვაწვდით აუდიტის დაგეგმილი მასშტაბისა და ვადების, ასევე აუდიტის პროცესში წამოჭრილი მნიშვნელოვანი საკითხების, მათ შორის, შიდა კონტროლის სისტემაში გამოვლენილი მნიშვნელოვანი ნაკლოვანებების შესახებ.

შპს „ცერცვაძე და კომპანია“ სახელით,

როინ ლელუაშვილი რეგისტრაციის ნომერი: SARAS-A- 170985

თბილისი, საქართველო

28 დეკემბერი 2023 წელი

კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება
2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
(ლარში)

	შენიშვნა	31.დეკ.22	31.დეკ.21	31.დეკ.20
აქტივები				
ძირითადი საშუალებები	5	34,816,606	35,974,394	35 731 867
არამატერიალური აქტივები		477,403	595,173	570 177
მონაწილეობა შვილობილ საწარმოში		-		
სულ გრძელვადიანი აქტივები		35,294,009	36,569,567	36 302 044
მარაგები	6	7,322,006	10,721,030	10 441 858
საგადასახადო აქტივი წმინდა				452 995
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	7	1,576,910	2,326,413	2 644 063
ფული და ფულადი ეკვივალენტები	8	724,373	664,380	572 191
სულ მიმდინარე აქტივები		9,623,289	13,711,823	14 111 107
სულ აქტივები		44,917,298	50,281,390	50 413 151
კაპიტალი და ვალდებულებები				
კაპიტალი				
საწესდებო კაპიტალი		60,387,160	47,619,735	36 736 207
დაგროვილი ზარალი		(45,581,406)	(35,806,204)	- 26 217 698
სულ კაპიტალი		14,805,754	11,813,531	10 518 509
გრძელვადიანი ვალდებულებები				
მიღებული სესხები	9	28,038,345	34,146,511	38 160 742
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		28,038,345	34,146,511	38 160 742
				401 852
საგადასახადო ვალდებულება, წმინდა		246,900	47,867	-
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	10	1,826,299	4,273,481	1 332 048
სულ მიმდინარე ვალდებულებები		2,073,199	4,321,348	1 733 900
სულ ვალდებულებები		30,111,544	38,467,859	39 894 642
სულ ვალდებულებები და კაპიტალი		44,917,298	50,281,390	50 413 151



სოსო ანიაშვილი

ფინანსური დირექტორი

28 დეკემბერი 2023

თბილისი, საქართველო

კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება
2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
(ლარში)

	შენიშვნა	31.დეკ.22	31.დეკ.21	31.დეკ.20
აქტივები				
ძირითადი საშუალებები	5	34,816,606	35,974,394	35 731 867
არამატერიალური აქტივები		477,403	595,173	570 177
მონაწილეობა შვილობილ საწარმოში		-		
სულ გრძელვადიანი აქტივები		35,294,009	36,569,567	36 302 044
მარაგები	6	7,322,006	10,721,030	10 441 858
საგადასახადო აქტივი წმინდა				452 995
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	7	1,576,910	2,326,413	2 644 063
ფული და ფულადი ეკვივალენტები	8	724,373	664,380	572 191
სულ მიმდინარე აქტივები		9,623,289	13,711,823	14 111 107
სულ აქტივები		44,917,298	50,281,390	50 413 151
კაპიტალი და ვალდებულებები				
კაპიტალი				
საწესდებო კაპიტალი		60,387,160	47,619,735	36 736 207
დაგროვილი ზარალი		(45,581,406)	(35,806,204)	- 26 217 698
სულ კაპიტალი		14,805,754	11,813,531	10 518 509
გრძელვადიანი ვალდებულებები				
მიღებული სესხები	9	28,038,345	34,146,511	38 160 742
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		28,038,345	34,146,511	38 160 742
				401 852
საგადასახადო ვალდებულება, წმინდა		246,900	47,867	-
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	10	1,826,299	4,273,481	1 332 048
სულ მიმდინარე ვალდებულებები		2,073,199	4,321,348	1 733 900
სულ ვალდებულებები		30,111,544	38,467,859	39 894 642
სულ ვალდებულებები და კაპიტალი		44,917,298	50,281,390	50 413 151

სოსო ანიაშვილი

ფინანსური დირექტორი

28 დეკემბერი 2023

თბილისი, საქართველო

შპს მეამა

კონსოლიდირებული სრული შემოსავლის ანგარიშგება
2022 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის
(ლარში)

	შენიშვნა	2022 წელი	2021 წელი
შემოსავალი რეალიზაციიდან	11	14,797,942	12,383,234
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	12	(11,676,601)	(7,752,758)
საერთო მოგება		3,121,341	4,630,476
მიწოდების ხარჯები	13	(1,383,218)	(2,897,953)
ადმინისტრაციული ხარჯები	14	(15,877,490)	(12,091,542)
მოგება სავალუტო ოპერაციებზე, წმინდა	15	5,940,063	4,796,068
ფინანსური ხარჯი		(2,190,623)	(2,549,894)
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი/(ხარჯი)	16	614,725	(1,475,661)
ზარალი დაბეგვრამდე		(9,775,202)	(9,588,506)
მოგების გადასახადის ხარჯი		-	-
წლის ზარალი		(9,775,202)	(9,588,506)
სხვა სრული შემოსავალი		-	-
სხვა სრული შემოსავალი		-	-
წლის მთლიანი სრული შემოსავალი		(9,775,202)	(9,588,506)



სოსო ანიაშვილი

ფინანსური დირექტორი

28 დეკემბერი 2023

თბილისი, საქართველო

შპს მეამა

კონსოლიდირებული სრული შემოსავლის ანგარიშგება
2022 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის
(ლარში)

	შენიშვნა	2022 წელი	2021 წელი
შემოსავალი რეალიზაციიდან	11	14,797,942	12,383,234
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	12	(11,676,601)	(7,752,758)
საერთო მოგება		3,121,341	4,630,476
მიწოდების ხარჯები	13	(1,383,218)	(2,897,953)
ადმინისტრაციული ხარჯები	14	(15,877,490)	(12,091,542)
მოგება სავალუტო ოპერაციებზე, წმინდა	15	5,940,063	4,796,068
ფინანსური ხარჯი		(2,190,623)	(2,549,894)
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი/(ხარჯი)	16	614,725	(1,475,661)
ზარალი დაბეგვრამდე		(9,775,202)	(9,588,506)
მოგების გადასახადის ხარჯი		-	-
წლის ზარალი		(9,775,202)	(9,588,506)
სხვა სრული შემოსავალი		-	-
სხვა სრული შემოსავალი		-	-
წლის მთლიანი სრული შემოსავალი		(9,775,202)	(9,588,506)

სოსო ანიაშვილი

ფინანსური დირექტორი

28 დეკემბერი 2023

თბილისი, საქართველო

შპს მეამა

კონსოლიდირებული საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება
2022 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის
(ლარში)

	საწესდებო კაპიტალი	დაგროვილი ზარალი	ჯამი
ნაშთი 01.01.2021	36,736,207	(26,217,698)	10,518,509
წლის ზარალი	-	(9,588,506)	(9,588,506)
მთლიანი სრული შემოსავალი	-	(9,588,506)	(9,588,506)
კაპიტალის ზრდა	10,883,528	-	10,883,528
ოპერაციები დამფუძნებლებთან	10,883,528	-	10,883,528
ნაშთი 31.12.2021	47,619,735	(35,806,204)	11,813,531
წლის ზარალი	-	(9,775,202)	(9,775,202)
მთლიანი სრული შემოსავალი	-	(9,775,202)	(9,775,202)
კაპიტალის ზრდა	12,767,425	-	12,767,425
ოპერაციები დამფუძნებლებთან	12,767,425	-	12,767,425
ნაშთი 31.12.2022	60,387,160	(45,581,406)	14,805,754



სოსო ანიაშვილი

ფინანსური დირექტორი

28 დეკემბერი 2023

თბილისი, საქართველო

შპს მეამა

კონსოლიდირებული საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება
2022 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის
(ლარში)

	საწესდებო კაპიტალი	დაგროვილი ზარალი	ჯამი
ნაშთი 01.01.2021	36,736,207	(26,217,698)	10,518,509
წლის ზარალი	-	(9,588,506)	(9,588,506)
მთლიანი სრული შემოსავალი	-	(9,588,506)	(9,588,506)
კაპიტალის ზრდა	10,883,528	-	10,883,528
ოპერაციები დამფუძნებლებთან	10,883,528	-	10,883,528
ნაშთი 31.12.2021	47,619,735	(35,806,204)	11,813,531
წლის ზარალი	-	(9,775,202)	(9,775,202)
მთლიანი სრული შემოსავალი	-	(9,775,202)	(9,775,202)
კაპიტალის ზრდა	12,767,425	-	12,767,425
ოპერაციები დამფუძნებლებთან	12,767,425	-	12,767,425
ნაშთი 31.12.2022	60,387,160	(45,581,406)	14,805,754

სოსო ანიაშვილი

ფინანსური დირექტორი

28 დეკემბერი 2023

თბილისი, საქართველო

შპს მეამა

კონსოლიდირებული ფულადი ნაკადების ანგარიშგება
2022 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის
(ლარში)

	2022 წელი	2021 წელი
პერიოდის მოგება/(ზარალი)	(9,775,202)	(9,588,506)
კორექტირებები:		
სავაჭრო და სხვა მოთხოვნების გაუფასურების ხარჯი	530,360	1,020,386
ძირითადი საშუალებების ჩამოწერა	75,478	25,486
საპროცენტო ხარჯი	2,190,623	2,549,894
მარაგის გაუფასურება	-	422,051
ცვეთა და ამორტიზაცია	2,413,946	2,490,071
(მოგება)/ზარალი კურსთა შორის სხვაობიდან, წმინდა	(543,112)	(4,795,129)
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან		
საოპერაციო აქტივებისა და ვალდებულებების		
ცვლილებებამდე	(5,107,907)	(7,875,747)
საბრუნავ კაპიტალში ცვლილებები:		
სავაჭო და სხვა მოთხოვნების ზრდა/შემცირება	151,055	(702,736)
მარაგების ცვლილება	3,626,495	(701,223)
ცვლილება საგადასახადო აქტივებში	(246,812)	500,862
სავაჭრო და სხვა ვალდებულებების ცვლილება	(1,771,750)	2,936,788
გადახდილი პროცენტი	(2,196,754)	(2,549,894)
საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული ფულადი		
სახსრები	(5,545,673)	(8,391,950)
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან		
ძირითადების და არამატერიალური აქტივების შეძენა	(1,002,928)	(2,783,080)
საინვესტიციო საქმიანობაში გამოყენებული წმინდა		
ნაღდი ფული	(1,002,928)	(2,783,080)
ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან		
სესხის აღება	4,136,440	9,913,771
სესხის დაფარვა	(10,189,805)	(9,330,694)
თანხის შეტანა კაპიტალში	12,767,425	10,883,529
საინვესტიციო საქმიანობაში გამოყენებული წმინდა		
ნაღდი ფული	6,714,060	11,466,606
წმინდა ზრდა ფულსა და ფულის ეკვივალენტებში	165,459	291,576
ფული და ფულის ეკვივალენტები წლის დასაწყისში	664,380	572,191
უცხოური ვალუტის გადაფასების ეფექტი	(105,466)	(199,387)
ფული და ფულის ეკვივალენტები წლის ბოლოს	724,373	664,380



სოსო ანიაშვილი

ფინანსური დირექტორი

28 დეკემბერი 2023

თბილისი, საქართველო

შპს მეამა

კონსოლიდირებული ფულადი ნაკადების ანგარიშგება
2022 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის
(ლარში)

	2022 წელი	2021 წელი
პერიოდის მოგება/(ზარალი)	(9,775,202)	(9,588,506)
კორექტირებები:		
სავაჭრო და სხვა მოთხოვნების გაუფასურების ხარჯი	530,360	1,020,386
ძირითადი საშუალებების ჩამოწერა	75,478	25,486
საპროცენტო ხარჯი	2,190,623	2,549,894
მარაგის გაუფასურება	-	422,051
ცვეთა და ამორტიზაცია	2,413,946	2,490,071
(მოგება)/ზარალი კურსთა შორის სხვაობიდან, წმინდა	(543,112)	(4,795,129)
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან		
საოპერაციო აქტივებისა და ვალდებულებების		
ცვლილებებამდე	(5,107,907)	(7,875,747)
საბრუნავ კაპიტალში ცვლილებები:		
სავაჭო და სხვა მოთხოვნების ზრდა/შემცირება	151,055	(702,736)
მარაგების ცვლილება	3,626,495	(701,223)
ცვლილება საგადასახადო აქტივებში	(246,812)	500,862
სავაჭრო და სხვა ვალდებულებების ცვლილება	(1,771,750)	2,936,788
გადახდილი პროცენტი	(2,196,754)	(2,549,894)
საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული ფულადი		
სახსრები	(5,545,673)	(8,391,950)
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან		
ძირითადების და არამატერიალური აქტივების შეძენა	(1,002,928)	(2,783,080)
საინვესტიციო საქმიანობაში გამოყენებული წმინდა		
ნაღდი ფული	(1,002,928)	(2,783,080)
ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან		
სესხის აღება	4,136,440	9,913,771
სესხის დაფარვა	(10,189,805)	(9,330,694)
თანხის შეტანა კაპიტალში	12,767,425	10,883,529
საინვესტიციო საქმიანობაში გამოყენებული წმინდა		
ნაღდი ფული	6,714,060	11,466,606
წმინდა ზრდა ფულსა და ფულის ეკვივალენტებში	165,459	291,576
ფული და ფულის ეკვივალენტები წლის დასაწყისში	664,380	572,191
უცხოური ვალუტის გადაფასების ეფექტი	(105,466)	(199,387)
ფული და ფულის ეკვივალენტები წლის ბოლოს	724,373	664,380

სოსო ანიაშვილი

ფინანსური დირექტორი

28 დეკემბერი 2023

თბილისი, საქართველო

შპს მეამა

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და ამავე თარიღით დასრულებული წლისათვის

1. ზოგადი ინფორმაცია

შპს „მეამა“ (კომპანია) არის 2016 წლის 8 აგვისტოს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად საქართველოში რეგისტრირებული შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება, შესაბამისი სარეგისტრაციო ნომრით - 405139425. ჯგუფის მთავარი საქმიანობაა ყავის გადამამუშავება, საბითუმო და საცალო ვაჭრობა ყავით, ჩაით, კაკაოთი და სანელებლებით.

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მოიცავს შემდეგ შვილობილ კომპანიებს:

დასახელება	საქმიანობა	31.დეკ.22		31.დეკ.21	
		საბალანსო ღირებულება	ფლობილი წილი	საბალანსო ღირებულება	ფლობილი წილი
შპს მეამა ქოლექტი	საცალო ვაჭრობა ყავით , ჩაითა და ყავის კოქტეილებით.	920, 949	100%	767,703	100%

დედა კომპანიის პარტნიორთა წილები წლების მიხედვით ნაწილდება შემდეგნაერად:

პარტნიორი	31.12.2022	31.12.2021
სულიკო ვარსემაშვილი (01001002002)	85%	85%
გიორგი ჭელიძე (35001003142)	5%	5%
თამაზ ხარაიძე (01010004194)	10%	10%

2. მომზადების საფუძველი

სააღრიცხვო პრინციპები და მომზადების საფუძველი

მოცემული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების კომიტეტის (ბასსკ) მიერ გამოშვებული მცირე და საშუალო საწარმოების ფინანსური ანგარიშგების, ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტებისა და ინტერპრეტაციების (მთლიანობაში მსს ფასს-ები) შესაბამისად.

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის დაშვებით - ანუ დაშვებით, რომ ჯგუფი განაგრძობს ფუნქციონირებას პროგნოზირებად მომავალში. ჯგუფის მფლობელებსა და მენეჯმენტს სურვილი აქვთ, განავითარონ ჯგუფის საქმიანობა საქართველოში. მენეჯმენტს სჯერა, რომ ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვება შესაბამისია ჯგუფისთვის.

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული ღირებულების საფუძველზე.

შპს მეამა

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და ამავე თარიღით დასრულებული წლისათვის

ჯგუფის საანგარიშგებო პერიოდი მოიცავს კალენდარულ წელს 1 იანვრიდან 31 დეკემბრამდე.

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების ფასს-ის მიხედვით მომზადება ჯგუფის ხელმძღვანელობისგან ითხოვს გარკვეული შეფასებების გაკეთებას, რაც გავლენას იქონიებს აქტივებისა და ვალდებულებების საანგარიშო ღირებულებაზე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შედგენის თარიღისათვის, ასევე იმოქმედებს შემოსავლებისა და ხარჯების ოდენობაზე საანგარიშო პერიოდის განმავლობაში. ფაქტიური შედეგები შესაძლოა განსხვავდებოდეს მიმდინარე შეფასებისაგან. შეფასებები პერიოდულად გადაიხედება.

კორექტირებები, რამაც სააღრიცხვო შეფასებების ცვლილებები გამოიწვია, მიეკუთვნება იმ პერიოდის ფინანსურ შედეგებს, როდესაც ეს ცვლილებები გატარდა. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებების შესახებ განმარტებები მოცემულია მე-3 შენიშვნაში.

შეფასების და წარდგენის ვალუტა

კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული მუხლები წარმოდგენილია იმ ქვეყნის ვალუტაში, სადაც ჯგუფი ფუნქციონირებს (საოპერაციო ვალუტა). ამგვარად, მოცემული ფინანსური ანგარიშგების შეფასების ვალუტად ჯგუფი იყენებს ქართულ ლარს. ოპერაციები შეფასების ვალუტისგან განსხვავებულ ვალუტაში განიხილება, როგორც ოპერაცია უცხოურ ვალუტაში და აღირიცხება ბასს 21-ს „სავალუტო კურსების ცვლილებათა გავლენა“ მოთხოვნის შესაბამისად.

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა

კონსოლიდაციის საფუძველი

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მოიცავს ჯგუფისა და მისი შვილობილი კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებებს 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით. კონტროლი მიიღწევა მაშინ, როდესაც ჯგუფი იღებს, ან უფლება აქვს მიიღოს ინვესტიციის ობიექტში თავისი მონაწილეობიდან ცვლადი უკუგება და შეუძლია ამ უკუგებაზე ზემოქმედება ინვესტიციის ობიექტზე თავისი გავლენის გამო.

კერძოდ, ჯგუფი აკონტროლებს ინვესტიციის ობიექტს მხოლოდ მაშინ, როდესაც:

- ჯგუფს აქვს უფლებამოსილება ინვესტიციის ობიექტზე (ანუ უფლებები მას მიმდინარე მომენტში საშუალებას აძლევს მართოს ინვესტიციის ობიექტის რელევანტური საქმიანობა);
- ჯგუფს გააჩნია ინვესტიციის ობიექტში თავისი მონაწილეობიდან ცვლადი უკუგების მიღების უფლება ან მგრძნობელობა; და
- ჯგუფს შეუძლია უკუგებაზე ზემოქმედება ინვესტიციის ობიექტზე თავისი გავლენის გამო.

თუ ჯგუფი ინვესტიციის ობიექტში არ ფლობს აქციების საკონტროლო პაკეტს ან სხვა მსგავსი უფლებების უმრავლესობას, იმის შეფასებისას, ინვესტიციის ობიექტზე ახორციელებს თუ არა კონტროლს, ჯგუფი ყველა აქტუალურ ფაქტს და გარემოებას ითვალისწინებს, მათ შორის შემდეგს:

- ინვესტიციის ობიექტში ხმის უფლების მქონე აქციების სხვა მფლობელებთან საკონტრაქტო გარიგებები;
- სხვა საკონტრაქტო გარიგებებიდან მიღებული უფლებები;
- ჯგუფის ხმის უფლებები და პოტენციური ხმის უფლებები;

ჯგუფი ხელახლა შეაფასებს, აკონტროლებს თუ არა ინვესტიციის ობიექტს, თუ ფაქტები და გარემოებები იმაზე მიანიშნებს, რომ კონტროლის სამი ელემენტიდან ერთ-ერთში

შპს მეამა

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და ამავე თარიღით დასრულებული წლისათვის

ცვლილებებია მომხდარი. შვილობილი საწარმოს კონსოლიდაცია იწყება მაშინ, როდესაც ჯგუფი მოიპოვებს კონტროლს შვილობილ საწარმოზე და წყდება მაშინ, როდესაც ჯგუფი კარგავს მასზე კონტროლს. შვილობილი საწარმოს წლის განმავლობაში შეძენილი ან გასხვისებული აქტივები, ვალდებულებები, შემოსავალი და ხარჯები აისახება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში შვილობილ საწარმოზე ჯგუფის მიერ კონტროლის შეძენის თარიღიდან კონტროლის დაკარგვის თარიღამდე.

შვილობილი კომპანიების ფინანსური ანგარიშგება მზადდება ანგარიშგების იმავე პერიოდისთვის, რომლისთვისაც - მშობელი კომპანიის ანგარიშგება, შესაბამისი სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენებით. ჯგუფის ყველა შიდა ნაშთი, ოპერაცია, ჯგუფის შიდა ოპერაციებით განპირობებული არარეალიზებული ნამეტი შემოსავალი და ზარალი, და დივიდენდები, სრულად არის გაქვითული.

მოგება ან ზარალი და სხვა სრული შემოსავლის თითოეული კომპონენტი მიეკუთვნება ჯგუფის მშობელი კომპანიის აქციონერებსა და არასაკონტროლო პაკეტის მფლობელებს მაშინაც კი, თუ ეს არასაკონტროლო პაკეტის ბალანსის დეფიციტს იწვევს. საჭიროების შემთხვევაში ხდება შვილობილი კომპანიების ფინანსური ანგარიშგების დაკორექტირება, რათა მათი სააღრიცხვო პოლიტიკა შესაბამისობაში მოვიდეს ჯგუფის სააღრიცხვო პოლიტიკასთან. ჯგუფის წევრებს შორის შემდგარ გარიგებებთან დაკავშირებული ყველა ჯგუფის შიდა აქტივი და ვალდებულება, კაპიტალი, შემოსავალი, ხარჯი და ფულადი ნაკადი კონსოლიდაციისას მთლიანად გაიქვითება.

შვილობილი კომპანიის კაპიტალში წილის შეცვლა, კონტროლის დაკარგვის გარეშე წილობრივი გარიგების სახით აღირიცხება. თუ ჯგუფი კარგავს კონტროლს შვილობილ კომპანიაზე, იგი:

- ჩამოწერს შვილობილი კომპანიის აქტივებს (გუდვილის ჩათვლით) და ვალდებულებებს;
- ჩამოწერს უმცირესობის წილის საბალანსო ღირებულებას;
- ჩამოწერს კაპიტალში ასახულ ჯამურ საკურსო სხვაობებს;
- აღიარებს მიღებული ანაზღაურების სამართლიან ღირებულებას;
- აღიარებს ნებისმიერი გაუნაწილებელი ინვესტიციის სამართლიან ღირებულებას;
- აღიარებს ნებისმიერ დეფიციტს ან მეტობას მოგებაში ან ზარალში;
- მოახდენს მშობელი კომპანიის სხვა სრულ შემოსავალში ასახული კომპონენტების წილის რეკლასიფიკაციას მოგებასა და ზარალზე, ან გაუნაწილებელ მოგებაზე, საჭიროებისამებრ.

ინვესტიცია შვილობილ საწარმოში

შვილობილ კომპანიაში ინვესტიციის აღიარება ხდება გაუფასურების რეზერვით შემცირებული თვითღირებულებით, ფინანსური მდგომარეობის ინდივიდუალურ ანგარიშგებაში. კომპანია აფასებს შვილობილ კომპანიაში განხორციელებული ინვესტიციის ამოღებადობას მაშინ, როდესაც არსებობს გაუფასურების ნიშნები. გაუფასურების ნიშნები შესაძლებელია მოიცავდეს შემოსავლების ან ფულადი ნაკადების კლებას ან არსებით უარყოფით ცვლილებებს საქმიანობის ქვეყნის ეკონომიკურ ან პოლიტიკურ გარემოში, რაც შესაძლოა მიუთითებდეს, რომ ინვესტიციის საბალანსო ღირებულება ამოღებადი არ არის. იმ შემთხვევაში, თუ გარემოებები მიუთითებს, რომ შვილობილ კომპანიაში განხორციელებული ინვესტიცია შესაძლებელია გაუფასურებული იყოს, შესაბამის ინვესტიციასთან დაკავშირებული მოსალოდნელი სამომავლო არადისკონტირებული ფულადი ნაკადები შედარდება მათ საბალანსო ღირებულებასთან, რათა დადგინდეს საჭიროა თუ არა მათი ჩამოფასება აღდგენით ღირებულებამდე.

შპს მეამა

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და ამავე თარიღით დასრულებული წლისათვის

წარსადგენი ვალუტა, უცხოური ვალუტის კონვერტაცია

ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია ლარში, რაც ჯგუფის სამუშაო და წარსადგენი ვალუტაა. უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ოპერაციები აღირიცხება სამუშაო ვალუტაში, რომლის კონვერტაცია ხდება ოპერაციის დღეს არსებული გაცვლითი კურსით. უცხოურვალუტაში გამოხატული ფულადი აქტივებისა და ვალდებულებების კონვერტაცია ლარში ხდება საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ გამოცხადებული და ანგარიშგების თარიღისთვის მოქმედი ოფიციალური გაცვლითი კურსით. უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ოპერაციების კონვერტაციით გამოწვეული მოგება-ზარალი აღიარებულია მოგება-ზარალის ანგარიშგებაში, როგორც უცხოური ვალუტის კონვერტაციით გამოწვეულ მოგებას გამოკლებული ზარალი-საკურსო სხვაობა.

საქართველოს ეროვნული ბანკის ოფიციალური გაცვლითი კურსი, რომელსაც გამოყენებულია ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას შემდეგია:

	31 დეკემბერი 2022	31 დეკემბერი 2021
1 დოლარი/ლარი	2.7020	3.0976
1 ევრო/ლარი	2.8844	3.5040
საშუალო წლიური კურსი	2022	2021
1 დოლარი/ლარი	2.9099	3.2209
1 ევრო/ლარი	3.0684	3.8140

ძირითადი საშუალებები

თავდაპირველი აღიარების დროს, ძირითადი საშუალებები აღირიცხება თვითღირებულებით. საწყისი აღიარების შემდგომ, ძირითადი საშუალებების აღრიცხვა უნდა განხორციელდეს თვითღირებულებიდან დარიცხული ცვეთის და გაუფასურების ზარალის დაქვითვით. მცირე რემონტისა და ტექნიკური ხარჯები ირიცხება წარმოებისას. ძირითადი ნაწილების ან კომპონენტის ჩანაცვლების ღირებულება კაპიტალიზდება ან შეცვლილი ნაწილი ამოღებულია.

ძირითადი საშუალების გაყიდვის ან გამოყენებიდან ამოღების შედეგად წარმოშობილი ნებისმიერი მოგება ან ზარალი განისაზღვრება, როგორც სხვაობა გაყიდვებიდან მიღებულ შემოსავლებსა და აქტივის საბალანსო ღირებულებას შორის და აღიარდება მოგებასა ან ზარალში. ცვეთის გამოთვლა წარმოებს იმგვარად, რომ განხორციელდეს აქტივის თვითღირებულების ჩამოწერა გამოთვლილი ნარჩენი ღირებულების გამოკლებით, მისი სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში, რომლებიც შემდეგია:

შპს მეამა

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და ამავე თარიღით დასრულებული წლისათვის

მიწა	არ იცვითება
შენიშვნები	3%
მანქანა-დანადგარი	8-12.5%
ავეჯი და სხვა ინვენტარი	12.5%
იჯარით აღებული ქონების კეთილმოწყობა	12.5%
ოფისის აღჭურვილობა	12.5%
სატრანსპორტო საშუალებები	10%

აქტივების ნარჩენი ღირებულება და სასარგებლო გამოყენების ვადა ექვემდებარება გადახედვას თითოეულ საანგარიშო პერიოდის ბოლოს. შეფასების ნებისმიერი ცვლილება აღირიცხება პერსპექტიულ საფუძველზე.

ძირითადი საშუალების ან მისი ერთეულის აღიარების შეწყვეტა ხდება მისი გაყიდვის შემთხვევაში, ან როდესაც აღარ არის მოსალოდნელი მომავალში ეკონომიკური სარგებლის მიღება აქტივის გამოყენებით. ძირითადი საშუალების გაყიდვის ან გამოყენებიდან ამოღების შედეგად წარმოშობილი ნებისმიერი მოგება ან ზარალი განისაზღვრება, როგორც სხვაობა გაყიდვებიდან მიღებულ შემოსავლებსა და აქტივის ნეტო საბალანსო ღირებულებას შორის და აღიარდება მოგებასა ან ზარალში.

ფინანსური ინსტრუმენტები – შეფასების ძირითადი ტერმინები.

მათი კლასიფიკაციიდან გამომდინარე, ფინანსური ინსტრუმენტები წარმოდგენილია რეალური ღირებულებით ან ამორტიზებული ღირებულებით, როგორც ეს აღწერილია ქვემოთ.

რეალური ღირებულება არის თანხა, რომელიც მიიღება აქტივის გაყიდვით ან რომელიც გადახდილია ვალდებულების დასაფარად გაანგარიშების დღეს მოქმედი ბაზრის მონაწილეებს შორის განხორციელებულ კანონიერ კომერციულ გარიგებაში იმის მიუხედავად, შეიძლება თუ არა ფასზე პირდაპირ დაკვირვება, თუ იგი შეფასების სხვა ტექნიკით ფასდება. აქტივის ან ვალდებულების რეალური ღირებულების გაანგარიშებისას, გაზომვის დღეს აქტივის ან ვალდებულების შეფასების პროცესში ჯგუფი ითვალისწინებს აქტივის ან ვალდებულების მახასიათებლებს, თუ მათ ბაზრის მონაწილეები გაითვალისწინებდნენ. რეალური ღირებულების საუკეთესო მტკიცებულებაა მოქმედ ბაზარზე არსებული ფასი. მოქმედი ბაზარი ისეთი ბაზარია, რომელზეც აქტივებთან ან ვალდებულებებთან დაკავშირებული გარიგებები იმ სიხშირითა და მოცულობით ხორციელდება, რომლებიც საკმარისია ფასის შესახებ ინფორმაციის უწყვეტი წესით მისაღებად.

გარდა ამისა, ფინანსური ანგარიშგების მიზნებისათვის, რეალური ღირებულების გაზომვა იყოფა პირველი, მე-2 და მე-3 დონის კატეგორიებად იმის მიხედვით, თუ რეალური ღირებულების რომელი კომპონენტებია დაკვირვებადი და რა მნიშვნელობის მატარებელია ეს კომპონენტები მთლიანად რეალური ღირებულების მოცულობის დადგენაში. აღნიშნული კატეგორიებია:

შპს მეამა

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და ამავე თარიღით დასრულებული წლისათვის

- პირველი დონის კომპონენტებს წარმოადგენს აქტიურ ბაზარზე იდენტურ აქტივებზე ან ვალდებულებებზე კვოტირებული ფასები (კორექტირების გარეშე), რომელთა შეფასება პირს შეუძლია გაზომვის დღეს;
- მე-2 დონის კომპონენტებს წარმოადგენს ის კომპონენტები, რომლებიც განსხვავდება პირველ დონეში მოცემული კვოტირებული ფასებისგან და პირდაპირ ან ირიბად დაკვირვებადია მოცემული აქტივის ან ვალდებულებისათვის; და
- მე-3 დონის კომპონენტებზე დაკვირვება მოცემული აქტივის ან ვალდებულებისათვის შეუძლებელია.

ითვლება, რომ ფინანსური ინსტრუმენტი აქტიურ ბაზარზე კვოტირდება, თუ კვოტირებული ფასები რეგულარულად და პირდაპირ ხელმისაწვდომია ბირჟიდან თუ სხვა დაწესებულებიდან და თუ ეს ფასები წარმოადგენს რეალურ და რეგულარულად ჩატარებულ, პატიოსანი გარიგების ტრანზაქციებს.

იმ ფინანსური ინსტრუმენტის რეალური ღირებულების განსაზღვრის მიზნით, რომელთან დაკავშირებითაც არ მოიპოვება ინფორმაცია გარე საბაზრო ფასის შესახებ, გამოიყენება ისეთი შეფასების მეთოდები, როგორიცაა დისკონტირებული ფულადი ნაკადის მოდელები ან ბოლოდროინდელი კომერციული გარიგებების მოდელები ან ინვესტირებული საწარმოების ფინანსური მონაცემების განხილვა. შეფასების ტექნიკის გამოყენება შეიძლება გულისხმობდეს წინამდებარე კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში ისეთი დაშვებების გაკეთებას, რომლებიც დაკვირვებადი საბაზრო მონაცემებით არ არის გამაგრებული, თუ ამ რომელიმე დაშვების გონივრულად შესაძლო ალტერნატივით შეცვლა გამოიწვევდა მნიშვნელოვნად განსხვავებულ მოგებას, შემოსავალს, მთლიან აქტივებსა და ვალდებულებებს.

ტრანზაქციის ხარჯები არის ის დამატებითი ხარჯები, რომელიც პირდაპირ უკავშირდება ფინანსური ინსტრუმენტის შეძენას, გამოშვებას ან განკარგვას. დამატებითი ხარჯი არის ხარჯი, რომლის გაღებაც არ მოხდებოდა, ოპერაცია რომ არ განხორციელებულიყო. საოპერაციო ხარჯი მოიცავს აგენტებისთვის (მათ შორის, თანამშრომლებისთვის, რომლებიც მოქმედებენ გაყიდვების აგენტების სახით), კონსულტანტებისთვის, ბროკერებისთვის და დილერებისთვის გადახდილ ჰონორარს და საკომისიოებს, სახელმწიფო მარეგულირებელი ორგანოების და საფონდო ბირჟების მოსაკრებლებს და გასხვისების გადასახადებს და მოსაკრებლებს. საოპერაციო ხარჯი არ მოიცავს სავალო პრემიებს ან დისკაუნტებს, დაფინანსების ხარჯებს ან შიდა ადმინისტრაციულ ან ფლობის ხარჯებს.

ამორტიზებული ღირებულება არის თანხა, რომლითაც ფინანსური ინსტრუმენტები აღირიცხება თავდაპირველი აღიარებისას, მინუს ნებისმიერი ძირითადი გადახდის თანხები, პლუს დარიცხული პროცენტი და, ფინანსური აქტივების შემთხვევაში, მინუს გაუფასურების ზარალთან დაკავშირებული ჩამოწერა. დარიცხული პროცენტი მოიცავს თავდაპირველი აღიარებისას გადავადებული საოპერაციო ხარჯების ამორტიზაციას და ნებისმიერი დაფარვის თანხის პრემიის ან დისკაუნტის ამორტიზაციას ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით. დარიცხული საპროცენტო შემოსავალი და დარიცხული საპროცენტო ხარჯი, მათ შორის, აღიარებისას გადავადებული საკომისიოები (თუ ასეთი არსებობს) არ არის

შპს მეამა

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და ამავე თარიღით დასრულებული წლისათვის

წარმოდგენილი ცალკე და შეტანილია ფინანსური მდგომარეობის ანგარიშის შესაბამისი მუხლების საბალანსო ღირებულებებში.

ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდი არის საბალანსო ღირებულებაზე მუდმივი პერიოდული საპროცენტო განაკვეთის უზრუნველსაყოფად (ეფექტური საპროცენტო განაკვეთი) საპროცენტო შემოსავლისა და საპროცენტო ხარჯის შესაბამის პერიოდში განაწილების მეთოდი.

ეფექტური საპროცენტო განაკვეთი არის განაკვეთი, რომელიც ზუსტად ამცირებს სავარაუდო სამომავლო გაცემულ ან მიღებულ ფულად ნაკადებს (მომავალი საკრედიტო დანაკარგების გარდა) ფინანსური ინსტრუმენტის სავარაუდო ვადაში ან უფრო მოკლე პერიოდში ფინანსური ინსტრუმენტის წმინდა საბალანსო ღირებულებამდე. ეფექტური საპროცენტო განაკვეთი ამცირებს ცვალებადი საპროცენტო განაკვეთის მქონე ინსტრუმენტების ფულად ნაკადებს პროცენტის მომდევნო დადგენის დღისთვის პრემიის ან დისკონტის გარდა, რომელიც ასახავს აღნიშნულ ინსტრუმენტში განსაზღვრულ ცვალებად განაკვეთზე საკრედიტო სპრედს, ან სხვა ცვლადებს, რომლებიც არ არის მორგებული საბაზრო განაკვეთებზე. ამგვარი პრემიები ან დისკონტების ამორტიზაცია ხორციელდება ინსტრუმენტის მთელი პერიოდის განმავლობაში. მიმდინარე ღირებულების გაანგარიშება მოიცავს ხელშეკრულების მხარეებს შორის გადახდილ ან მიღებულ ყველა იმ საკომისიოს, რომლებიც ეფექტური საპროცენტო განაკვეთის შემადგენელი ნაწილია.

ფინანსური ინსტრუმენტი არის ნებისმიერი კონტრაქტი, რომელიც წარმოშობს ერთი პირის ფინანსურ აქტივს და სხვა პირის ფინანსურ ვალდებულებას ან წილობრივ ინსტრუმენტს.

ფინანსური აქტივების კლასიფიკაცია. ფინანსური აქტივების კლასიფიკაციით, საწყისი აღიარებისას, დგინდება მათი შემდგომი შეფასება ამორტიზებული ღირებულებით. საწყისი აღიარებისას ფინანსური აქტივების კლასიფიკაცია დამოკიდებულია ფინანსური აქტივის კონტრაქტის მიხედვით მისაღები ფულადი ნაკადების მახასიათებლებსა და მათი მართვის ბიზნეს-მოდელზე. ჯგუფი ფინანსურ აქტივებს ამორტიზებული ღირებულებით აფასებს, თუ დაკმაყოფილდა შემდეგი ორი პირობა:

- ფინანსურ აქტივს ჯგუფი ფლობს ისეთი ბიზნეს-მოდელით, რომლის ამოცანა არის ფინანსური აქტივების ფლობა მათგან ფულადი ნაკადების მიღების მიზნით; და
- ფინანსური აქტივის სახელშეკრულებო პირობები კონკრეტულ თარიღებში წარმოშობს ფულად ნაკადებს, რომლებიც წარმოადგენს „მხოლოდ ძირითადი თანხისა და მის დასაფარ ნაწილზე გადასახდელ საპროცენტო გადახდებს (SPPI)“. ამ შეფასებას SPPI ტესტი ეწოდება და ის ინსტრუმენტის დონეზე ხორციელდება.

ჯგუფის სავაჭრო და სხვა მოთხოვნებით მისაღები ფულადი ნაკადები SPPI ტესტს აკმაყოფილებს, რადგან ამ ფინანსურ ინსტრუმენტებზე საპროცენტო განაკვეთი არ ვრცელდება.

ფინანსური აქტივების აღიარების გაუქმება. ჯგუფი ფინანსური აქტივის აღიარებას აუქმებს მაშინ, როცა: (ა) აქტივები გადახდილია ან უფლებები აღნიშნული აქტივებიდან მისაღებ ფულად

შპს მეამა

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და ამავე თარიღით დასრულებული წლისათვის

ნაკადებზე სხვაგვარად ამოიწურა ან (ბ) ჯგუფმა გადასცა უფლებები ფინანსური აქტივებიდან მისაღებ ფულად ნაკადებზე ან გააფორმა კვალიფიციური გადაცემის ხელშეკრულება და ამასთან ერთად (1) განახორციელა აქტივების საკუთრებასა და კონტროლთან დაკავშირებული არსებითად ყველა რისკის და ჯილდოს გადაცემა ან (2) საკუთრებასა და კონტროლთან დაკავშირებული არსებითად ყველა რისკი და ჯილდო არც გადაუცია, მაგრამ კონტროლი არ შეუნარჩუნებია.

კონტროლის შენარჩუნება ხდება, თუ კონტრაგენტს არ აქვს პრაქტიკული შესაძლებლობა იმისა, რომ სრულად გაყიდოს აქტივი არადაკავშირებულ მესამე პირზე ამ გაყიდვაზე დამატებითი შეზღუდვების დაწესების გარეშე.

ფინანსური ვალდებულებების კლასიფიკაცია. ფინანსური ვალდებულებები შეფასების შემდეგ კატეგორიებად იყოფა: (ა) სავაჭროდ განკუთვნილი ფინანსური ვალდებულებები, რომლებშიც ასევე შედის ფინანსური წარმოებულები და (ბ) სხვა ფინანსური ვალდებულებები. სავაჭროდ განკუთვნილი ფინანსური ვალდებულებები აღირიცხება რეალური ღირებულებით, ხოლო ღირებულებაში მომხდარი ცვლილებები აისახება შესაბამისი წლის მოგებაში ან ზარალში (ფინანსური შემოსავლის ან ფინანსური ხარჯის სახით) მათი დადგომის პერიოდში. სხვა ფინანსური ვალდებულებები აღირიცხება ამორტიზებული ღირებულებით.

ფინანსური ინსტრუმენტების თავდაპირველი აღიარება. ფინანსური აქტივები და ვალდებულებები თავდაპირველად აღირიცხება რეალური ღირებულებისა და საოპერაციო ხარჯების ჯამით. თავდაპირველი აღიარებისას რეალური ღირებულების საუკეთესო მტკიცებულებაა გარიგების ფასი. მოგება ან ზარალი თავდაპირველი აღიარებისას აღირიცხება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ სამართლიან ღირებულებასა და გარიგების ფასს შორის არსებობს სხვაობა, რომლის დამტკიცება შესაძლებელია იმავე ინსტრუმენტში სხვა დაკვირვებადი მიმდინარე საბაზრო გარიგებების საფუძველზე ან ისეთი შეფასების მეთოდით, რომლის მონაცემებიც მოიცავს მხოლოდ დაკვირვებადი ბაზრების მაჩვენებლებს.

ფინანსური ვალდებულებების აღიარების გაუქმება. ჯგუფი ფინანსური ვალდებულების აღიარებას აუქმებს მაშინ, როცა ვალდებულება დაიფარება ან გაუქმდება ან ვადა გასდის. როდესაც არსებულ ფინანსურ ვალდებულებას ანაცვლებს იმავე გამსესხებლის სხვა ფინანსური ვალდებულება არსებითად შეცვლილი პირობებით, ან არსებული ვალდებულების პირობები დიდწილად იცვლება, ამგვარი ჩანაცვლება ან მოდიფიცირება განიხილება როგორც თავდაპირველი ვალდებულების აღიარების შეწყვეტა და ახალი ვალდებულების აღიარება. სხვაობა საბალანსო ღირებულებებს შორის აღიარდება მოგების ან ზარალის კონსოლიდირებულ ანგარიშგებაში.

ფინანსური აქტივების გაუფასურება

ჯგუფი, კლიენტების გადახდის უუნარობით გამოწვეული სავარაუდო დანაკარგების აღსარიცხად, ქმნის მოსალოდნელ საკრედიტო დანაკარგს. მისი საკმარისობის შეფასებისას ხელმძღვანელობა ითვალისწინებს მიმდინარე ზოგად ეკონომიკურ პირობებს, სავაჭრო მოთხოვნების ნაშთების ვადიანობას, ჩამოწერის ისტორიულ გამოცდილებას, კლიენტის კრედიტსაიმედოობასა და გადახდის პირობების ცვლილებას. ეკონომიკის, დარგის თუ

შპს მეამა

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და ამავე თარიღით დასრულებული წლისათვის

კლიენტის მდგომარეობის ცვლილებამ შეიძლება მოითხოვოს მოსალოდნელი საკრედიტო დანაკარგის მოდიფიცირება.

სავაჭრო მოთხოვნების გაუფასურების რეზერვის გაანგარიშების პოლიტიკა მოცემულია ქვემოთ ცხრილის სახით:

ვადაგადაცილების დღეები	მიმდინარე	31-90 დღე	91-365 დღე	>365
დარეზერვების პროცენტულობა	2%	25%	80%	100%

სესხები და მოთხოვნები

სესხები და მოთხოვნები არის არაწარმოებული ფინანსური აქტივები ფიქსირებული ან განსაზღვრადი გადახდებით, რომლებიც არ კვოტირდება აქტიურ ბაზარზე. სესხები და მოთხოვნები (მათ შორის სავაჭრო და სხვა მოთხოვნები, ბალანსები ბანკებში და ნაღდი ფული) აისახება ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით, გაუფასურების გამოკლებით. საპროცენტო შემოსავალი აღიარდება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით. აღნიშნული არ ეხება მოკლევადიან მოთხოვნებს, სადაც დისკონტირების ეფექტი უმნიშვნელოა.

ამორტიზებული ღირებულებით აღრიცხული ფინანსური აქტივების გაუფასურება

ჯგუფი მოსალოდნელი საკრედიტო დანაკარგების რეზერვებს ყველა სავაჭრო ინსტრუმენტისათვის აღრიცხავს ამორტიზებული ღირებულებით. მოსალოდნელი საკრედიტო დანაკარგები (მსდ) ეფუძნება სხვაობას მოსალოდნელ სახელშეკრულებო ფულად ნაკადებსა და ყველა მოსალოდნელ ფულად ნაკადებს შორის, რომელიც დისკონტირებულია თავდაპირველი ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მიახლოებული მაჩვენებლით. მოსალოდნელ ფულად ნაკადებში შედის ფლობილი უზრუნველყოფის გაყიდვით მიღებული ან ხელშეკრულების პირობებში ჩადებული, კრედიტის გამაძლიერებელი სხვა ინსტრუმენტით წარმოშობილი ფულადი ნაკადები.

მოსალოდნელი საკრედიტო დანაკარგების აღიარება ხდება ორ ეტაპად. ისეთი კრედიტებისათვის, რომელთათვისაც საწყისი აღიარების შემდეგ საკრედიტო რისკის მნიშვნელოვან ზრდას ადგილი არ ჰქონია, მსდ რეზერვირდება შემდეგ 12 თვეში შესაძლებელი დეფოლტის მოვლენებით წარმოშობილი საკრედიტო დანაკარგებისათვის (12 თვიანი მსდ). ისეთი კრედიტებისათვის, რომელთა შემთხვევაში საწყისი აღიარების შემდეგ ადგილი ჰქონდა საკრედიტო რისკის მნიშვნელოვან ზრდას, რეზერვი აუცილებელია კრედიტის არსებობის განმავლობაში დეფოლტის დროის მიუხედავად (მსდ არსებობის მანძილზე). ნაღდი ფულისა და საბანკო ნაშთების შემთხვევაში ჯგუფი 12 თვიანი მსდ იქმნება.

ჯგუფურად შეფასებული სავაჭრო მოთხოვნების შემთხვევაში, ჯგუფი მსდ-ის გამოთვლის გამარტივებულ მიდგომას იყენებს. ამდენად, ჯგუფი საკრედიტო რისკის ცვლილებას თვალს არ ადევნებს, არამედ დანაკარგების რეზერვის ანარიცხებს აღიარებს თითოეულ საანგარიშგებო დღეს მსდ არსებობის მანძილზე. ჯგუფმა შექმნა რეზერვირების მატრიცა, რომელიც ისტორიულ საკრედიტო დანაკარგების გამოცდილებას ეფუძნება და ისეთი ფორვარდული ფაქტორებით კორექტირდება, რომელიც მსესხებლებისა და ეკონომიკური გარემოს სპეციფიკურია.

ყველა შემთხვევაში ჯგუფი მიიჩნევს, რომ 30 დღეზე მეტით ვადაგადაცილებული საკონტრაქტო გადახდები წარმოადგენს საკრედიტო რისკის საგრძნობ ზრდას.

ფინანსური აქტივი დეფოლტად ითვლება, სახელშეკრულებო გადახდების 90 დღით ვადაგადაცილების შემთხვევაში. თუმცა, ზოგიერთ შემთხვევაში, დეფოლტად შეიძლება აგრეთვე ჩაითვალოს ისეთი

შპს მეამა

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და ამავე თარიღით დასრულებული წლისათვის

ფინანსური აქტივი, რომელზეც, შიდა თუ გარე ინფორმაცია მიუთითებს, რომ ნაკლებ მოსალოდნელი იქნება დარჩენილი სახელშეკრულებო თანხის სრულად მიღება ჯგუფის მიერ ფლობილი კრედიტის გამაძლიერებელი მექანიზმების გაუთვალისწინებლად.

მიუღებელი (უიმედო) აქტივები ჩამოიწერება შესაბამისი გაუფასურების ზარალის რეზერვის ხარჯზე – ამგვარი თანხები ჩამოიწერება აქტივების დაბრუნების ყველა აუცილებელი პროცედურის დასრულების და ზარალის თანხის განსაზღვრის შემდეგ. მანამდე ჩამოწერილი თანხების შემდგომში ამოღებული ნაწილი მიუკუთვნება მოგება-ზარალის უწყისში გაუფასურების ზარალის ანგარიშს.

ფინანსური ვალდებულებები და წილობრივი ინსტრუმენტები

კლასიფიცირება სესხად ან წილობრივ ინსტრუმენტად

ჯგუფის მიერ გამოშვებული სავალო და წილობრივი ინსტრუმენტები ფინანსურ ვალდებულებად ან წილობრივ ინსტრუმენტად კლასიფიცირდება საკონტრაქტო პირობების, ასევე ფინანსური ვალდებულებისა და წილობრივი ინსტრუმენტის განსაზღვრების შესაბამისად.

წილობრივი ინსტრუმენტები

წილობრივი ინსტრუმენტი არის ნებისმიერი კონტრაქტი, რომელიც ცხადყოფს დარჩენილი წილის არსებობას რომელიმე პირის აქტივებში ყველა ვალდებულების გამოკლების შემდეგ. ჯგუფის წილობრივი ინსტრუმენტები აღიარდება მიღებული შემოსავლით, ემისიის პირდაპირი ხარჯების გამოკლებით.

ჯგუფის საკუთარი წილობრივი ინსტრუმენტების გამოსყიდვა აღიარდება პირდაპირ საკუთარ კაპიტალში. ჯგუფის საკუთარი ინსტრუმენტების შესყიდვაზე, გაყიდვაზე, გამოშვებასა თუ გაუქმებაზე მოგება-ზარალში არაფერი აღირიცხება.

ფინანსური ვალდებულებები

ჯგუფის ფინანსური ვალდებულებები მოიცავს მოგებაში ან ზარალში სამართლიანი ღირებულებებით ასახულ ფინანსურ ვალდებულებებს და სხვა ფინანსურ ვალდებულებებს.

სხვა ფინანსური ვალდებულებები

სხვა ფინანსური ვალდებულებები, ნასესხები სახსრებისა და სავაჭრო და სხვა გადასახდელების ჩათვლით, თავდაპირველად აისახება სამართლიანი ღირებულებით, ტრანზაქციის ხარჯების გამოკლებით. შემდგომში ისინი აისახება ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით.

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები

ფული და ფულის ეკვივალენტები შედგება ნაღდი ფულისგან სალაროში და ბანკებში განთავსებულ მიმდინარე ანგარიშებზე არსებული ფულისგან, რომლებიც ექვემდებარება ფასის შეცვლის მცირე რისკს.

შემოსავლის აღიარება

შპს მეამა

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და ამავე თარიღით დასრულებული წლისათვის

იმისათვის, რომ შემოსავალი იქნეს აღიარებული ჯგუფმა უნდა შეასრულოს ხუთ-საფეხურიანი პროცესი:

1. მომხმარებელთან დადებული ხელშეკრულების იდენტიფიცირება;
2. შესრულების ვალდებულებების განსაზღვრა;
3. გარიგების ფასის განსაზღვრა;
4. გარიგების ფასის განაწილება შესრულების ვალდებულებებზე;
5. შემოსავლის აღიარება, როდესაც შესრულების ვალდებულება(ებ)ი დაკმაყოფილებულია.

შემოსავლის აღიარება ხდება იმ დროს ან დროის განმავლობაში, როდესაც ჯგუფი ასრულებს ვალდებულებებს კლიენტისთვის დაპირებული საქონლის ან მომსახურების გადაცემით. აქტივის გადაცემა ხდება მაშინ, როდესაც მომხმარებელი მიიღებს კონტროლს ამ აქტივზე. აქტივის კონტროლი გულისხმობს აქტივის გამოყენებას და არსებითად ყველა დარჩენილი სარგებლის მიღებას.

ამონაგები

ჯგუფი ამონაგებს იღებს შემდეგი საქმიანობებიდან:

- ყავის გადამუშავება;
- საბითუმო და საცალო ვაჭრობა ყავით;
- ვაჭრობა ჩაით, კაკაოთი და სანელებლებით.

მარაგები

ჯგუფში მარაგების შეფასება ხდება თვითღირებულებასა და ნეტო სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესი თანხით. მარაგების თვითღირებულება მოიცავს მათ შეძენასა და გადამუშავებასთან დაკავშირებულ დანახარჯებს, აგრეთვე იმ დანახარჯებს, რომელიც გაწეულია მის მოცემულ ადგილამდე ტრანსპორტირებისა და სათანადო მდგომარეობაში მოყვანისათვის.

მარაგების ნეტო სარეალიზაციო ღირებულება არის შეფასებითი გასაყიდი ფასი, პროდუქციის დასრულებისა და გაყიდვისათვის საჭირო შეფასებითი დანახარჯების გამოკლებით.

საპროცენტო შემოსავალი და საპროცენტო ხარჯი

საპროცენტო შემოსავალი და საპროცენტო ხარჯი აისახება ყველა ფინანსურ ინსტრუმენტთან მიმართებაში დარიცხვის პრინციპის საფუძველზე ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით. ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მიხედვით დისკონტირება მომავალში მისაღები ან გადასახდელი სავარაუდო ფულადი სახსრები (ყველა მიღებული ან გადახდილი საკომისიოს ჩათვლით, რომელიც წარმოადგენს ეფექტური საპროცენტო განაკვეთის განუყოფელ ნაწილს, გარიგების ხარჯებისა და სხვა ფასნამატებისა და დისკონტირების ჩათვლით) ფინანსური ინსტრუმენტების მოსალოდნელი მომსახურების ვადის განმავლობაში, ან ფინანსური აქტივისა თუ ფინანსური ვალდებულების წმინდა საბალანსო ღირებულების მოკლე პერიოდის განმავლობაში. საპროცენტო შემოსავალი და ხარჯი აღიარდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში.

შპს მეამა

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და ამავე თარიღით დასრულებული წლისათვის

სხვა შემოსავლების აღიარება

საოპერაციო და საპროცენტო შემოსავლების გარდა, სხვა შემოსავლების აღიარება ხდება, როდესაც არსებობს რწმუნება, რომ ჯგუფი განხორციელებული ოპერაციებიდან მიიღებს ეკონომიკურ სარგებელს და შესაძლებელია შემოსავლის ოდენობის საიმედოდ შეფასება.

ხარჯების აღიარება

ხარჯების აღიარება ხდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში, თუ წარმოიშობა მომავალი ეკონომიკური სარგებლის შემცირება, რაც დაკავშირებულია აქტივების შემცირებასა ან ვალდებულების ზრდასთან, რაც შეიძლება საიმედოდ განისაზღვროს. თუ ეკონომიკური სარგებელი მოსალოდნელია რომ წარმოიქმნება რამდენიმე სააღრიცხვო პერიოდის განმავლობაში, მასთან დაკავშირებული ხარჯები სრული შემოსავლის ანგარიშგებაში აღიარდება გონივრული განაწილების საფუძველზე.

ხელფასები და თანამშრომელთა სხვა სარგებელი

ხელფასები, პრემიები, ბონუსები და თანამშრომელთა არაფულადი სარგებელი აღიარდება დარიცხვის მეთოდით იმ პერიოდში, როდესაც შესაბამისი სერვისი მიიღო ჯგუფმა დასაქმებულისგან.

ანარიცხები, პირობითი ვალდებულებები და პირობითი აქტივები

პირობითი ვალდებულებები არ აისახება ფინანსურ ანგარიშგებაში, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მოსალოდნელია ეკონომიკური სარგებლის გასვლა ჯგუფიდან, და შესაძლებელია ამ ვალდებულების საიმედოდ შეფასება.

ფინანსურ ანგარიშგებაში არ აისახება პირობითი აქტივები. მაგრამ ისეთი ფინანსური აქტივების შესახებ ინფორმაცია, რომლებთან დაკავშირებული ეკონომიკური სარგებლის შემოსვლა ჯგუფში შესაძლებელია - აისახება განმარტებით შენიშვნებში. იმ შემთხვევაში, თუ ჯგუფს აქვს რწმუნება, რომ ეკონომიკური სარგებელი შემოვა ჯგუფში, მაშინ მასთან დაკავშირებული აქტივი და შემოსავალი აისახება იმ პერიოდის ანგარიშგებაში, როდესაც ადგილი ჰქონდა შეფასების ცვლილებას.

ანარიცხი წარმოადგენს ვალდებულებას, რომელიც დაკავშირებულია რაოდენობრივ და დროით განუსაზღვრელობასთან. ჯგუფში ანარიცხები აღიარდება, როდესაც:

- ჯგუფს აქვს მიმდინარე მოვალეობა (იურიდიული ან კონსტრუქციული), რომელიც წარმოიქმნება წარსული მოვლენების შედეგად;
- სავარაუდოა, რომ მოვალეობის დასაფარად საჭირო იქნება ეკონომიკურ სარგებელში განივთებული რესურსების გასვლა;
- შესაძლებელია მოვალეობის თანხის საიმედოდ შეფასება.

საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები და ფინანსური ანგარიშგების ავტორიზაციის თარიღამდე მომხდარი მოვლენები, რომლებიც დამატებით ინფორმაციას იძლევიან ჯგუფის ფინანსური პოზიციის შესახებ, აისახება ფინანსურ ანგარიშგებაში. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები, რომლებიც გავლენას არ ახდენენ ჯგუფის ფინანსურ მდგომარეობაზე ბალანსის შედგენის თარიღისათვის, მაგრამ არსებითი მნიშვნელობისაა, აისახება ფინანსური ანგარიშგების თანდართულ შენიშვნებში.

შპს მეამა

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და ამავე თარიღით დასრულებული წლისათვის

4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და გადაწყვეტილებები

ჯგუფის სააღრიცხვო პოლიტიკების გამოყენებისას, რომლებიც აღწერილია შენიშვნაში #3, ხელმძღვანელობას ევალება შეფასებების, ვარაუდებისა და დაშვებების გაკეთება აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებების თაობაზე, რომლებიც სხვა წყაროებში მკაფიოდ არ ჩანს. შეფასებები და დაშვებები ეფუძნება ისტორიულ გამოცდილებას და სხვა შესაბამის ფაქტორებს. რეალური შედეგები შეფასებებისგან შეიძლება განსხვავდებოდეს.

შეფასებები და შესაბამისი დაშვებები რეგულარულად გადაიხედება. სააღრიცხვო შეფასებების კორექტირება აღიარდება ამ კორექტირების გაკეთების პერიოდში, თუ კორექტირება მხოლოდ იმ პერიოდზე მოქმედებს, და აღიარდება კორექტირების და შემდგომ პერიოდებში, თუ კორექტირება მოქმედებს მიმდინარე და მომავალ პერიოდებზე.

შეფასებათა განუსაზღვრელობის ძირითადი წყაროები

ქვემოთ ჩამოთვლილია მომავალთან დაკავშირებული ის ძირითადი დაშვებები და შეფასებათა განუსაზღვრელობის სხვა ძირითადი წყაროები საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს, რომლებსაც პოტენციურად შეუძლია აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებების მნიშვნელოვანი კორექტირების გამოწვევა მომავალი ფინანსური წლის განმავლობაში.

ა) ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადები

ძირითადი საშუალების ერთეულის სასარგებლო მოხმარების ვადა დგინდება ხელმძღვანელობის შეფასებით და ეფუძნება მსგავს აქტივებზე არსებულ გამოცდილებას. მხედველობაში მიიღება მოსალოდნელი გამოყენების ფორმა, მოსალოდნელი ტექნიკური დაძველება, ფიზიკური ცვეთა და ოპერირების ფიზიკური გარემო. ნებისმიერი ამ პირობის ან შეფასების ცვლილებამ, შესაძლოა, გამოიწვიოს კორექტირებები გაუფასურების სამომავლო მაჩვენებლებში.

ბ) გადასახადები

საქართველოში საგადასახადო კანონმდებლობის დაცვა დიდწილად ინტერპრეტაციებზეა დამოკიდებული და შეიძლება ექვექვემ დადგეს საგადასახადო ორგანოების მხრიდან. საგადასახადო შემოწმებას შეიძლება დაექვემდებაროს საგადასახადო შემოწმების წლამდე სამი კალენდარული წლის ტოლი ფისკალური პერიოდები. გარკვეულ ვითარებაში, შემოწმებამ შეიძლება მოიცვას უფრო დიდი პერიოდიც. ამოსაღებია თუმცა, ჯგუფი დარწმუნებულია, რომ მას შესრულებული აქვს ყველა საგადასახადო ვალდებულება საგადასახადო კანონმდებლობის მისეული გაგების საფუძველზე, ზემოაღნიშნულს შეუძლია ჯგუფისთვის დამატებითი ფინანსური რისკების შექმნა.

შპს მეამა

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და ამავე თარიღით დასრულებული წლისათვის

5. ძირითადი საშუალებები

ჯგუფის ძირითადი საშუალებები 2022 და 2021 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	მიწა	შენობები	მანქანა- დანადგარები	ოფისის აღჭურვილობა	ავიჯი და სხვა ინვენტარი	სატრანსპორტო საშუალებები	იჯარით აღებული ქონების კეთილმოწყობა	ჯამურად
საწყისი ღირებულება								
1 იანვარი 2021	712,000	19,626,907	14,382,581	862,585	1,619,206	1,578,029	-	38,781,308
დანამატები	26,418	-	112,141	243,225	775,374	42,222	1,558,704	2,758,084
აქტივების ჩამოწერა	-	-	(890)	(17,404)	(6,529)	-	(805)	(25,628)
31 დეკემბერი 2021	738,418	19,626,907	14,493,832	1,088,406	2,388,051	1,620,251	1,557,899	41,513,764
დანამატები	-	-	127,811	82,257	952,929	19,042.00	-	1,182,039
აქტივების ჩამოწერა	-	-	-	(21,099)	(7,768)	(39,464)	-	(68,331)
31 დეკემბერი 2022	738,418	19,626,907	14,621,643	1,149,564	3,333,212	1,599,829	1,557,899	42,627,472
აკუმულირებული ცვეთა								
1 იანვარი 2021	-	(634,871)	(1,386,421)	(227,781)	(628,160)	(172,208)	-	(3,049,441)
ცვეთა პერიოდისათვის	-	(654,055)	(1,210,317)	(121,250)	(215,674)	(160,702)	(128,073)	(2,490,071)
ჩამოწერილი აქტივების ცვეთა	-	-	-	142	-	-	-	142
31 დეკემბერი 2021	-	(1,288,926)	(2,596,738)	(348,889)	(843,834)	(332,910)	(128,073)	(5,539,370)
ცვეთა პერიოდისათვის	-	(641,105)	(930,319)	(198,343)	(238,612)	(228,778)	(40,587)	(2,277,744)
ჩამოწერილი აქტივების ცვეთა	-	-	-	5,836	6,524	(6,112)	-	6,248
31 დეკემბერი 2022	-	(1,930,031.00)	(3,527,057.00)	(541,396.00)	(1,075,922.00)	(567,800.00)	(168,660.00)	(7,810,866.00)
წმინდა ღირებულება								
31 დეკემბერი 2021	738,418	18,337,981	11,897,094	739,517	1,474,318	1,287,197	759,706	35,974,394
31 დეკემბერი 2022	738,418	17,696,876	11,094,586	608,168	2,257,290	1,032,029	1,389,239	34,816,606

შპს მეამა

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და ამავე თარიღით დასრულებული წლისათვის

6. მარაგები

ჯგუფის მარაგები 2022 და 2021 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	31 დეკემბერი 2022	31 დეკემბერი 2021
ყავის მოსამზადებელი აპარატი და მოწყობილობები	3,263,718	5,743,301
ნედლეული და მასალები	2,376,140	1,595,091
ყავის მარცვლები	254,364	674,778
წარმოებული ყავა	475,963	677,347
ჩაი	210,350	345,060
ყავის ჭიქა	146,510	314,372
დაუმთავრებელი წარმოება	3,753	190,766
სხვა	591,208	1,180,315
სულ	7,322,006	10,721,030

7. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

ჯგუფის სავაჭრო და სხვა მოთხოვნები 2022 და 2021 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	31 დეკემბერი 2022	31 დეკემბერი 2021
გადახდილი ავანსები	1,495,911	2,471,663
მოთხოვნები მიწოდებიდან და მომსახურებიდან	1,085,082	864,705
სხვა მოთხოვნები	16,303	10,431
სულ სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	2,597,296	3,346,799
	(1,020,386)	(1,020,386)
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები მოსალოდნელი საკრედიტო დანაკარგის გამოკლებით	1,576,910	2,326,413

შპს მეამა

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და ამავე თარიღით დასრულებული წლისათვის

8. ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები

ჯგუფის ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები 2022 და 2021 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	31 დეკემბერი 2022	31 დეკემბერი 2021
უცხოური ვალუტა ბანკში	26,561	415,094
ფული სალაროში	85,932	93,816
ეროვნული ვალუტა ბანკში	611,880	87,783
ფული გზაში		67,687
სულ	724,373	664,380

9. მიღებული სესხები

ჯგუფის მიღებული სესხები 2022 და 2021 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

ჯგუფს მიღებული აქვს სესხები საქართველოში მოქმედი კომერციული ბანკისგან, კერძოდ სს „საქართველოს ბანკიდან“.

გამსესხებელი	ვალუტა	ვადასრულება	განაკვეთი	31 დეკემბერი 2022	31 დეკემბერი 2022
სს „საქართველოს ბანკი“	ევრო	26.06.2026	7.00%	8,941,640	10,885,315
სს „საქართველოს ბანკი“	ევრო	20.07.2026	7.00%	331,706	403,810
სს „საქართველოს ბანკი“	ევრო	26.06.2026	7.00%	8,653,200	10,548,288
სს „საქართველოს ბანკი“	ევრო	26.06.2026	7.00%	535,591	652,162
ADLOOP	ევრო	01.03.2023	7.00%	346,128	420,480
სს „საქართველოს ბანკი“	ევრო	26.06.2026	7.00%	9,230,080	11,236,456
სულ				28,038,345	34,146,511

შპს მეამა

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და ამავე თარიღით დასრულებული წლისათვის

10. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

ჯგუფის სავაჭრო და სხვა ვალდებულებები 2022 და 2021 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	31 დეკემბერი 2022	31 დეკემბერი 2021
ვალდებულებები მომწოდებლების წინაშე	1,696,910	3,900,198
მიღებული ავანსები	129,389	353,868
გადასახდელი ხელფასები	-	1,682
სხვა	-	17,733
სულ სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	1,826,299	4,273,481

11. ამონაგები

ჯგუფის ამონაგები 2022 და 2021 წლებისთვის წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	2022	2021
შემოსავალი იურიდიულ პირებზე რეალიზაციიდან	9,298,621	6,306,530
შემოსავალი საცალო რეალიზაციიდან	5,546,810	6,185,233
საქონლის უკან დაბრუნება და ფასდათმობა	(47,489)	(108,529)
სულ	14,797,942	12,383,234

12. რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება

ჯგუფის რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება 2022 და 2021 წლებისთვის წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	2022	2021
ნედლეულის და მასალების თვითღირებულების ხარჯები	11,009,614	5,084,414
ცვეთა და ამორტიზაცია	360,865	1,828,486
შრომის ანაზღაურება	306,122	839,554
სხვა	-	304
სულ	11,676,601	7,752,758

შპს მეამა

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და ამავე თარიღით დასრულებული წლისათვის

13. მიწოდების ხარჯები

ჯგუფის მიწოდების ხარჯები 2022 და 2021 წლებისთვის წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	2022	2021
მარკეტინგული მომსახურება	1,070,695	1,652,169
შრომის ანაზღაურება	213,440	1,072,778
ტრანსპორტირებისა და შენახვის ხარჯები	93,829	168,815
სხვა	5,254	4,191
სულ	1,383,218	2,897,953

14. ადმინისტრაციული ხარჯები

ჯგუფის ადმინისტრაციული და სხვა ხარჯები 2022 და 2021 წლებისთვის წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	2022	2021
შრომის ანაზღაურება	7,959,002	4,946,483
ცვეთა და ამორტიზაცია	2,473,716	1,222,310
იჯარა	1,341,584	1,238,162
სხვა საგადასახადო ხარჯი	358,747	959,908
სამეურნეო ხარჯები	241,571	555,529
თანამშრომელთა კვება	36,562	475,760
ბანკის საკომისიო	260,972	479,763
კომუნალური ხარჯები	488,021	401,212
პროფესიული მომსახურება	570,573	317,206
დაზღვევა	339,812	315,410
რემონტი	162,856	178,487
პროგრამული უზრუნველყოფა	575,953	171,336
საპენსიო ხარჯები	147,311	135,209
საოფისე ხარჯები	22,778	124,462
კომუნიკაციის ხარჯები	161,830	120,787
მივლინება	130,379	94,285
თანამშრომლების ტრენინგი	49,189	48,814
სხვა	556,634	306,419
სულ	15,877,490	12,091,542

15. კურსთაშორის სხვაობიდან მიღებული მოგება

ჯგუფის კურსთაშორის სხვაობიდან მიღებული მოგება 2022 და 2021 წლებისთვის წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	2022	2021
მოგება კურსთაშორის სხვაობიდან	9,808,499	5,032,360
ზარალი კურსთაშორის სხვაობიდან	(3,868,436)	(236,292)
სულ	5,940,063	4,796,068

შპს მეამა

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და ამავე თარიღით დასრულებული წლისათვის

16. სხვა არასაოპერაციო შემოსავალი/(ხარჯი)

ჯგუფის სხვა არასაოპერაციო შემოსავალი/(ხარჯი) 2022 და 2021 წლებისთვის წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	2022	2021
სავაჭრო მოთხოვნების რეზერვი	-	(1,020,386)
საგადასახადო ხარჯი	(224,557)	(114,518)
მარაგების გაუფასურების ხარჯი	-	(422,051)
სხვა არასაოპერაციო ხარჯი	(160,564)	-
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი	999,846	81,294
სულ	614,725	(1,475,661)

17. ფინანსური რისკების მართვა

ჯგუფი ექვემდებარება სხვადასხვა რისკებს ფინანსურ ინსტრუმენტებთან დაკავშირებით. ძირითადი რისკების ტიპებია: საბაზრო, საკრედიტო და ლიკვიდურობის რისკი.

ჯგუფი არ არის ჩართული ფინანსური აქტივებით ვაჭრობაში სპეკულაციური მიზნებისათვის და არც ოფციონებს გასცემს. ჯგუფის ყველაზე მნიშვნელოვანი ფინანსური რისკები აღწერილია ქვემოთ.

საბაზრო რისკი

ჯგუფი არ არის დაცული საბაზრო რისკისაგან ფინანსური ინსტრუმენტების გამოყენების გამო და კონკრეტულად სავალუტო, საპროცენტო განაკვეთისა და სხვა ფასთან დაკავშირებული რისკისაგან, რომელიც გამოწვეულია, როგორც საოპერაციო აგრეთვე, საინვესტიციო საქმიანობიდან.

უცხოური ვალუტის რისკი

ჯგუფი დენომინირებულ გარკვეულ ტრანზაქციებს ახორციელებს უცხოურ ვალუტაში. აქედან გამომდინარე, წარმოიშობა სავალუტო კურსის მერყეობასთან დაკავშირებული რისკი.

ჯგუფი ოპერაციების ძირითად ნაწილს ახორციელებს ქართულ ლარში. უცხოური ვალუტის რისკი ძირითადად უკავშირდება მიღებულ სესხებს, რომლებიც ევროშია ნომინირებული.

საკრედიტო რისკი

საკრედიტო რისკი ნიშნავს იმას, რომ კონტრაქტორი ვერ შეასრულებს კონტრაქტით ნაკისრ ვალდებულებებს, რის შედეგადაც ჯგუფი მიიღებს ფინანსურ ზარალს. ჯგუფის საკრედიტო რისკი დანაშვნიებულია მის ფინანსურ აქტივებთან, მათ შორის საბანკო ანგარიშებზე განთავსებულ ფულად სახსრებთან და სავაჭრო და სხვა მოთხოვნებთან.

შორის საბანკო ანგარიშებზე განთავსებულ ფულად სახსრებთან დაკავშირებული საკრედიტო რისკი უმნიშვნელოა, რადგან ფული განთავსებულია მხოლოდ მსხვილ, საიმედო ბანკებში.

შპს მეამა

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და ამავე თარიღით დასრულებული წლისათვის

ჯგუფს არ აქვს რაიმე უზრუნველყოფები დებიტორულ მოთხოვნებზე. ჯგუფი არ ფლობს გირაოს ან უზრუნველყოფებს, არც სხვა ფინანსურ აქტივებზე (მაგ. ფულადი სახსრები და ფულადი სახსრების ექვივალენტები ბანკებში).

სავაჭრო მოთხოვნები

ჯგუფის მოთხოვნებს რეზერვს არისცხავს შემდეგი ცხრილის შესაბამისად:

ვადაგადაცილების დღეები	მიმდინარე	31-90 დღე	91-365 დღე	>365
დარეზერვების პროცენტულობა	2%	25%	80%	100%

სავაჭრო მოთხოვნები ჩამოიწერება, როცა აღარ არსებობს მათი დაბრუნების გონივრული მოლოდინი.

ლიკვიდურობის რისკი

ლიკვიდურობის რისკი არის რისკი იმისა, რომ ჯგუფი ვერ შეძლებს დროულად დაფაროს ვადადამდგარი ვალდებულებები.

ჯგუფი ახორციელებს გონივრულ პოლიტიკას ლიკვიდურობის მართვასთან დაკავშირებით, რომელიც გულისხმობს საკმარისი რაოდენობის ფულის და მისი ექვივალენტების ფლობას, აგრეთვე მაღალ ლიკვიდური აქტივების ფლობას, რათა ჯგუფმა დროულად გადაიხადოს ყველა საოპერაციო და სასეხო ვალდებულება.

18. კაპიტალის რისკის მართვა

ჯგუფი კაპიტალს მართავს იმის უზრუნველსაყოფად, რომ მასში შემავალმა ყველა წევრმა შეძლოს ფუნქციონირებადი საწარმოს სტატუსის შენარჩუნება და, ამავდროულად, მოწილეთა უკუგება მაქსიმალურად გაიზარდოს საკუთარი კაპიტალის ბალანსის ოპტიმიზებით.

როგორც სხვები ამავე ინდუსტრიაში, ჯგუფი კაპიტალის მონიტორინგს ახორციელებს წმინდა ვალის კაპიტალთან შეფარდებით. წმინდა ვალი გამოითვლება მთლიან სესხებს (მათ შორის "მიმდინარე და გრძელვადიანი სესხები", როგორც ეს ნაჩვენებია ფინანსური მდგომარეობის ანგარიშში) მინუს ფული და ფულის ექვივალენტები. მთლიანი კაპიტალი გამოითვლება როგორც "კაპიტალი", როგორც ეს ნაჩვენებია ფინანსური მდგომარეობის ანგარიშში პლუს წმინდა ვალი.

19. პირობითი ვალდებულებები

სასამართლო დავები - 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ჯგუფს არ გააჩნია სასამართლო დავები. შესაბამისად არ არის მოლოდინი მატერიალური დანაკარგის წარმოქმნის და სასამართლო დავებთან დაკავშირებით ანარიცხი არ არის წარდგენილი ფინანსურ ანგარიშგებაში

საგადასახადო კანონმდებლობა - საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობაში შესაძლოა განხორციელდეს სხვადასხვა ინტერპრეტაციები და ცვლილებები. გარდა ამისა, მენეჯმენტის საგადასახადო ინტერპრეტაციები შესაძლოა განსხვავდებოდეს საგადასახადო ორგანოების ინტერპრეტაციებისაგან, ჯგუფის ოპერაციები შესაძლოა გასაჩივრდეს საგადასახადო ორგანოების

შპს მეამა

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და ამავე თარიღით დასრულებული წლისათვის

მიერ და ჯგუფს დაეკისროს დამატებითი გადასახადები, საურავები, პროცენტები. ჯგუფის მენეჯმენტს მიაჩნია, რომ მისი საგადასახადო მიდგომა არის კანონმდებლობის შესაბამისი. შესაბამისად, პოტენციურ საგადასახადო ვალდებულებებთან დაკავშირებით ანარიცხი არ წარადგინა ფინანსურ ანგარიშგებაში.

საოპერაციო გარემო - საქართველოს ბაზარზე პოზიციონირება წარმოშობს დამატებით ეკონომიკურ, პოლიტიკურ, სოციალურ, სამართლებრივ და საკანონმდებლო რისკებს უფრო განვითარებულ ბაზართან შედარებით. კანონები და რეგულაციები, საგადასახადო და მარეგულირებელი ჩარჩოები ზეგავლენას ახდენენ საქართველოში ბიზნესის განვითარებაზე. საქართველოს მომავალ ეკონომიკურ კურსზე ზემოქმედებას ახდენს მთავრობის მიერ მიღებული ფისკალური და მონეტარული პოლიტიკა საკანონმდებლო, მარეგულირებელ და პოლიტიკურ გარემოსთან ერთად.

20. რეალური ღირებულების განსაზღვრა

ხელმძღვანელობის აზრით, კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული ფინანსური აქტივებისა და ფინანსური ვალდებულებების საბალანსო ღირებულებები მათ სამართლიან ღირებულებასთანაა მიახლოებული, მათი მოკლევადიანი პირობებიდან გამომდინარე. ფინანსური აქტივები და ფინანსური ვალდებულებები, რეალური ღირებულების შეფასების მესამე დონის კატეგორიას მიეკუთვნება.

მესამე დონის კატეგორიებში შესული ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების სამართლიანი ღირებულებები დგინდება საყოველთაოდ აღიარებული ფასწარმოქმნის მოდელებით, დისკონტირებული ფულადი ნაკადების ანალიზის საფუძველზე, ძირითად მონაცემებად კონტრაგენტების საკრედიტო რისკის ამსახველი დისკონტირების განაკვეთის გამოყენებით.

21. ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან

ჯგუფის დაკავშირებულ მხარეებთან 2022 და 2021 წლების განმავლობაში განხორციელებული ბრუნვა და 2022 და 2021 წლის 31 დეკემბრის ნაშთები იხილეთ ქვემოთ.

დაკავშირებული მხარეები მოიცავს ჯგუფის მფლობელებს და ერთობლივ მფლობელობასა და კონტროლქვეშარსებულ პირებს, აგრეთვე უმაღლეს ხელმძღვანელობას.

დაკავშირებულ მხარეებს შეუძლიათ ისეთ გარიგებებში შესვლა, რომლებსაც არადაკავშირებული პირები ვერ განახორციელებენ. ხშირ შემთხვევაში, დაკავშირებულ მხარეებს შორის ტრანზაქციები ხორციელდება სხვა შემთხვევებისგან განსხვავებული პირობებით.

დაკავშირებულ მხარეებთან არსებული თითოეული შესაძლო ურთიერთობის განხილვისას ყურადღება ეპყრობა ურთიერთობის ბუნებას და არა მხოლოდ მის სამართლებრივ ფორმას.

დაკავშირებულ მხარეებთან ჯგუფს გააჩნია შემდეგი ნაშთები და ტრანზაქციები:

2022 და 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ბალანსები დაკავშირებულ მხარეებთან შემდეგია:

უმაღლესი მენეჯმენტის შრომითი ანაზღაურება	2022	2021
ხელფასები და სხვა თანამშრომელთა მოკლევადიანი სარგებელი	435274	392,876

შპს მეამა

კონსოლიდირებული მმართველობის ანგარიშგება

2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და ამავე თარიღით დასრულებული წლისათვის
ლარში

შპს მეამა

მმართველობის ანგარიშგება

2022 წლის 31 დეკემბერი

*საქმიანობის განვითარება, შედეგები და მდგომარეობა:

მეამა საქართველოში ყავის ახალ ერას ქმნის. ის მომხმარებელს ყავის მიღების განსხვავებულ გამოცდილებას უზიარებს. საინტერესოა მეამას შენობის არქიტექტურაც, რომელიც აერთიანებს, როგორც საწარმოო, ასევე სამუშაო სივრცეებს და ზუსტად იმეორებს ბრენდის ფილოსოფიას. მეამას შენობამ არაერთ მნიშვნელოვან საერთაშორისო კონკურსში მოიპოვა გამარჯვება, მათ შორის 2020 წელს დასახელდა მსოფლიოში საუკეთესო სამუშაო სივრცედ.

მეამას სათაო ოფისის მშენებლობა 2016 წელს დაიწყო და მშენებლობის პარალელურად, მიმდინარეობდა ყავის ტექნოლოგიების საერთაშორისო მასშტაბით გადამზადება და საწარმოს ევროპული დანადგარებით აღჭურვა.

მსოფლიოს 18 ქვეყნიდან ჩამოტანილი მაღალი ხარისხის მწვანე მარცვლებით მეამას მაღალტექნოლოგიურ საწარმოში ყავის ტექნოლოგიები უნიკალური რეცეპტებით (თითოეული მათგანი კომპანიის ინტელექტუალური საკუთრებაა) ქმნიან სხვადასხვა სახეობის ბლენდს, რომელიც შემდეგ ჰერმეტიკულად დაცულ ყავის კაფსულებში თავსდება.

მეამა აწარმოებს 16 სახეობის ევროპული (37მმ) და 16 სახეობის ამერიკული (51მმ) ფორმატის ყავის კაფსულებს, 9 სხვადასხვა გემოს ჩაის კაფსულებს და 4 სახეობის ნალექიან ყავას. მეამას პროდუქტებს აღებული აქვს The Food Safety System Certification (FSSC 22000) და Bio organic სერთიფიკატები.

ყავის მოყვარულებს მეამა გაყიდვის ინოვაციურ არხებს და მომხმარებელზე ორიენტირებულ მომსახურებას სთავაზობს. მომხმარებელს შესაძლებლობა აქვს მეამას პროდუქტია შეიძინოს მისთვის ყველაზე უფრო მოხერხებულ ადგილას, იქნება ეს კომპანიის ბრენდული სივრცეები, ელექტრონული კომერციის პლატფორმა, ქოლ ცენტრი, თუ გარე გაყიდვის არხები (Glovo, Wolt, Bolt).

B2B სექტორისთვის მეამას ინჟინრების მიერ შეიქმნა თანამედროვე ვენდინგ აპარატი - **დროფერი და მინი დროფერი**, რომელსაც მსოფლიოში ანალოგი არ აქვს. აპარატი მარტივად, აპლიკაციიდან QR კოდის დასკანერებით ან ინტეგრირებული პანელით იმართება. ორივე მოწყობილობა საუკეთესო შეთავაზებაა ბიზნესისთვის და საკმაოდ მოთხოვნადია დიდ თუ მცირე ოფისებში.

მეამას მრავალფეროვანი შეთავაზებები აქვს ასევე ჰორეკა სექტორისთვისაც მთელი საქართველოს მასშტაბით და აქტიურად თანამშრომლობს მათთან კვალიფიციური სერვისის და პროდუქციის უწყვეტი მიწოდების გამარტივებული შეთავაზებით.

მეამამ შექმნა ე.წ Take Away კონცეპციის სავაჭრო ობიექტი - შვილობილი კომპანია **მეამა ქოლექტი**, სადაც მომხმარებელს შესაძლებლობა აქვს მეამას ყავისა და ჩაის გარდა, დააგემოვნოს მათ ბაზაზე შექმნილი ცივი და ცხელი კოქტეილები, სხვადასხვა სახეობის ყავის სასმელები, სმუზები და ტკბილეული. **მეამა ქოლექტი** არის განსხვავებული და დასამახსოვრებელი ვიზუალის მქონე

შპს მეამა

კონსოლიდირებული მმართველობის ანგარიშგება

2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და ამავე თარიღით დასრულებული წლისათვის
ლარში

ობიექტი, რომელიც დიდი პოპულარობით სარგებლობს უნიკალური გემოს მქონე სასმლის მოყვარულ მომხმარებელში.

მეამა შესანიშნავი გემოს ყავისა და ჩაის კაფსულების მრავალფეროვანი არჩევანით, ინოვაციური პროექტებითა და მომხმარებელზე ორიენტირებული მომსახურებით ამკვიდრებს როგორც ყავის მიღების ახალ კულტურას საქართველოში, ასევე თანამედროვე მიდგომებს ტექნოლოგიებისა და მომსახურების სფეროებში.

საექსპორტო პოტენციალის ზრდის ხელშეწყობის მიზნით, მეამა მონაწილეობს სხვადასხვა საერთაშორისო გამოფენებზე, სადაც კომპანიას შესაძლებლობა ეძლევა კავშირები დაამყაროს საერთაშორისო პარტნიორებთან და დამკვეთებთან.

კომპანიის ერთ-ერთი მთავარი მიზანია არა მხოლოდ მაღალი ხარისხის პროდუქტის წარმოება და საერთაშორისო ბაზრებზე შეთავაზება, არამედ მთელი ეკოსისტემის შექმნა, რომელიც იქნება მოქნილი და ადაპტირებადი ბიზნეს მოდელი ნებისმიერი ქვეყნის ბაზრისთვის.

1. სუბიექტის განვითარების გეგმები.

მეამას უახლოეს გეგმებში ყავისა და ჩაის კაფსულების ახალი გემოები, **მეამა ქოლექტის** ახალი ობიექტები, კიდევ უფრო მეტი ახალი ინოვაციური პროექტი და ამ ყველაფრის საერთაშორისო ბაზარზე წარმატებით გატანაა.

მეამა საერთაშორისო მომხმარებელს სთავაზობს სხვადასხვა ბიზნეს გადაწყვეტილებებს და მოქნილ საფასო პოლიტიკას. ჩვენ გვსურს დადებითი გავლენა მოვახდინოთ ბიზნეს სექტორის განვითარებაზე და ვიყოთ ადაპტირებადი სწრაფად მზარდ HORECA ინდუსტრიასთან.

მეამას ასევე აქვს სხვადასხვა ფრენჩაიზინგის შეთავაზებები, რომელიც დაფუძნებულია კომპანიის სამ კონცეფციაზე: ბრენდულ სივრცეზე, ქოლექტზე და ელექტრონული კომერციაზე.

მეამას ყავის ექსპერტებს ასევე შეუძლიათ შექმნან ახალი ყავის ნაზავი, რომელიც შეესაბამება სხვადასხვა ქვეყნის გემოვნურ თვისებებს და საჭიროების შემთხვევაში, შესაძლებელია მარკეტინგის გუნთან ერთად შექმნან ბრენდინგის ახალი ხაზები.

კომპანიის გეგმავს შემდეგ სამიზნე ბაზრებზე გასვლას: სპარსეთის ყურის ქვეყნები, ევროკავშირის ქვეყნები, დიდი ბრიტანეთი, აშშ, კანადა, იაპონია.

2. ინფორმაცია სუბიექტის ფილიალების საქმიანობის შესახებ:

საქართველოს მასშტაბით ფუნქციონირებს 6 ბრენდული სივრცე (თბილისი - 4, ქუთაისი - 1, ბათუმი - 1),

სიტი მოლი საბურთალო - ვაკე-საბურთალო, ქავთარაძის N1

სიტი მოლი გლდანის - ხიზანიშვილის 27

ისთ ფოინთი - ალექსანდრე თვალჭრელიძის N2

გაგარინი - კანდელაკის 2 / პეკინის 41

შპს მეამა

კონსოლიდირებული მმართველობის ანგარიშგება

2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და ამავე თარიღით დასრულებული წლისათვის
ლარში

თბილისი მოლი - დ. აღმაშენებლის ხეივანი
16კმ ბათუმი - ზურაბ გორგილაძის 9

ქუთაისი - ქ. ქუთაისი, წმინდა ნინოს 13

საქართველოს მასშტაბით ფუნქციონირებს მეამა ქოლექტის 14 ობიექტი თბილისში (5), ქუთაისში (3),
ბათუმში (4),

რუსთავში (1) და სეზონურად ასევე ბათუმის სანაპიროზე (2) და უკვე ბაკურიანში (1).

ქ. თბილისი, ფალიაშვილის გამზ. #36 1/12

ქ. თბილისი, ი.აბაშიძის

ქ. #65 ქ. თბილისი,

ბახტრიონის ქუჩა ქ.

თბილისი, კარტოზიას

ქ. #8 ქ. რუსთავი,

კოსტავას ქ. #14

ქ. თბილისი, ანა პოლიტკოვსკაიას ქ. #1

ქ. ქუთაისი, თამარ მეფის ქუჩა N19

ქ. ქუთაისი, წმინდა

ნინოს ქ. #11 ქ. ბათუმი,

მემედ აბაშიძის ქ. #62 ქ.

ბათუმი, მემედ აბაშიძის

ქ. #15 ქ. ბათუმი,

დუმბაძის ქ. #8

ქ. ბათუმი, გორგილაძის N9

აეროპორტი - ქუთაისი

კომპანიის ხელმძღვანელობის სახელით ხელმოწერილია და ავტორიზებულია გამოსაქვეყნებლად
2023 წლის 18 სექტემბერს



ფინასური დირექტორი: სოსო ანიაშვილი

შპს მეამა

კონსოლიდირებული მმართველობის ანგარიშგება

2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და ამავე თარიღით დასრულებული წლისათვის
ლარში

თბილისი მოლი - დ. აღმაშენებლის ხეივანი
16კმ ბათუმი - ზურაბ გორგილაძის 9

ქუთაისი - ქ. ქუთაისი, წმინდა ნინოს 13

საქართველოს მასშტაბით ფუნქციონირებს მეამა ქოლექტის 14 ობიექტი თბილისში (5), ქუთაისში (3),
ბათუმში (4),

რუსთავში (1) და სეზონურად ასევე ბათუმის სანაპიროზე (2) და უკვე ბაკურიანში (1).

ქ. თბილისი, ფალიაშვილის გამზ. #36 1/12

ქ. თბილისი, ი.აბაშიძის

ქ. #65 ქ. თბილისი,

ბახტრიონის ქუჩა ქ.

თბილისი, კარტოზიას

ქ. #8 ქ. რუსთავი,

კოსტავას ქ. #14

ქ. თბილისი, ანა პოლიტკოვსკაიას ქ. #1

ქ. ქუთაისი, თამარ მეფის ქუჩა N19

ქ. ქუთაისი, წმინდა

ნინოს ქ. #11 ქ. ბათუმი,

მემედ აბაშიძის ქ. #62 ქ.

ბათუმი, მემედ აბაშიძის

ქ. #15 ქ. ბათუმი,

დუმბაძის ქ. #8

ქ. ბათუმი, გორგილაძის N9

აეროპორტი - ქუთაისი

კომპანიის ხელმძღვანელობის სახელით ხელმოწერილია და ავტორიზებულია გამოსაქვეყნებლად
2023 წლის 18 სექტემბერს

ფინასური დირექტორი: სოსო ანიაშვილი